



თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა  
უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში

სპეციალური ანგარიში

თბილისი 2022

1. შესავალი .....	4
2. მიზანი და მეთოდოლოგია.....	5
3. ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების მიმოხილვა .....	6
4. ეროვნული კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან.....	12
5. წვდომა საერთაშორისო დაცვის დადგენის პროცედურაზე და ხარისხი ადმინისტრაციულ დონეზე .....	16
5.1. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი .....	20
5.2. წვდომა საზღვარზე თავშესაფრის პროცედურაზე (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საზღვრის უკანონო კვეთის დროს) .....	23
5.3. თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებული პირებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვა .....	26
6. თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პირობები.....	28
7. ძირითად უფლებებზე ხელმისაწვდომობა .....	30
7.1. კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების მიმოხილვა .....	30
7.2. ძირითად უფლებებზე წვდომასთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკაში.....	31
7.2. თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ჩართვა სოციალურ/ეკონომიკურ პროგრამებში .....	34
8. სპეციფიკური საჭიროების მქონე თავშესაფრის მაძიებლები .....	35
8.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა.....	35
8.2. სათანადო საცხოვრისის უფლება.....	39
8.3. განათლების უფლება.....	39
8.4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.....	41
8.5. ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	42
9. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა .....	42
9.1. წვდომა განათლებაზე და დასაქმების ხელშეწყობა.....	43
9.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.....	46
9.3. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა.....	47
10. თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა.....	50
10.1. არასრულწლოვანებთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა .....	50

10.2 არასრულწლოვნის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების სერვისებზე.....	52
10.3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ სერვისებში ჩართვა.....	57
11. რეკომენდაციები.....	59

## 1. შესავალი

საქართველოში, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივ სტატუსსა და სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებები და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის თანახმად,<sup>1</sup> საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. საქართველომ თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა დაცვის, საერთაშორისო დაცვის მექანიზმებისა და გარანტიების შესრულების ხელშეწყობის ვალდებულება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის დამატებით ოქმზე მიერთებით<sup>2</sup> აიღო.

საქართველოში უცხო ქვეყნიდან ლტოლვილთა მცირე რაოდენობა პირველად 1994 წელს გამოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად, ლტოლვილთა მასობრივი შემოსვლა ქვეყანაში 1999 წელს დაიწყო. მასობრივი შემოსვლის გამო დაახლოებით 9 ათასამდე<sup>3</sup> პირს *prima facie*<sup>4</sup> პრინციპით ჯგუფურად მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი. ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა, რაც დაკავშირებული იყო ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში გამწვავებულ კონფლიქტებთან, ასევე, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან. განსაკუთრებით გაიზარდა მომართვიანობა 2014-2015 წლებში, როდესაც ევროპის მსგავსად, საქართველოში მოიმატა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ. ბოლო წლებში, იქ არსებული სამოქალაქო დაპირისპირებისა თუ საომარი მოქმედებების გამო, მომართვიანობა შეიმჩნევა აფრიკის ქვეყნებიდანაც.

მსოფლიოში დღეს 84 მილიონი იძულებით ადგილნაცვალი პირია და ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება,<sup>5</sup> თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რაოდენობა საქართველოშიც წლიდან წლამდე მატულობს, რაც მსოფლიოსა და რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობით არის განპირობებული. შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ სამოქალაქო ომების შედეგად მილიონობით ადამიანმა დატოვა

<sup>1</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“, სსმ, 31-33, 24/08/1995.

<sup>2</sup> „საქართველოს პარლამენტის დადგენილება“, სსმ, 27(34), 09/06/1999.

<sup>3</sup> ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/3s4jkn> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>4</sup> ლათინური - ერთი შეხედვით.

<sup>5</sup> დღეისათვის მსოფლიოში 84 მილიონი იძულებით ადგილნაცვალი პირია. აქედან დაახლოებით 4 მილიონზე მეტი თავშესაფრის მაძიებელია, 26 მილიონზე მეტი ლტოლვილი და 48 მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირია (მონაცემები 2020 წლის მდგომარეობით). წყარო ხელმისაწვდომია : < <https://rb.gy/yoyulu> > [ბოლოს ნანახია 31.03.2022].

წარმოშობის ქვეყანა უსაფრთხო თავშესაფრის ძიებაში. პანდემიის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა მიგრანტთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვა.<sup>6</sup>

ქვეყნებს შორის იძულებით ადგილნაცვალი პირების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, ამ ეტაპზე კვლავ გლობალურ გამოწვევად რჩება. რეგიონში არსებული არასტაბილური გარემოსა და დაუსრულებელი კონფლიქტების გათვალისწინებით, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შესაბამის დაცვასა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული თავშესაფრის სისტემის გამართულობას, თავშესაფრის მაძიებელი, შესაძლოა, რეალური საფრთხის წინაშე დადგეს, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტებთან, შესაბამის კონვენციებთან და დირექტივებთან თანმხვედრი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, გამჭვირვალე და სამართლიანი თავშესაფრის სისტემის ჩამოყალიბება.

## 2. მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი, შესწავლა, უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოვლენა და რეკომენდაციების მეშვეობით დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობაა.

განსაკუთრებით ბოლო წლებში, აპარატში გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მომართვიანობა. ასევე გრძელდება თანამშრომლობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობასთან (UNHCR),<sup>7</sup> რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სტატუსის დადგენის პროცედურის, სახელმწიფო საზღვრის, პენიტენციური დაწესებულებების, დროებით განთავსების ცენტრსა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი.

სპეციალური ანგარიშის მიზანია, შეაფასოს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ასევე, ფუნდამენტური უფლებების სარგებლობისას წამოჭრილი სირთულეები და ხარვეზები; გამოკვეთოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციები და როლი კანონით გათვალისწინებული სერვისებით უზრუნველყოფის დროს.

ანგარიშში მიმოხილულია, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ინსტრუმენტები, სტატუსის დადგენის პროცედურების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, თავშესაფრის მაძიებელთა მიღების და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის პირობები,

<sup>6</sup> „As Disparities Deepen, Safeguarding Migrants Rights is more Important than Ever”, OSCE ODIHR Director Matteo Mecacci, December 17, 2021, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/tbazkf> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>7</sup> 2015 წლიდან ფუნქციონირებს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ერთობლივი პროექტი „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა პროექტის ბენეფიციართა მდგომარეობის შესწავლაში“.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სპეციალური საჭიროების მქონე და მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებზე; გაანალიზებულია სახელმწიფო უწყებებიდან, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებიდან, გენერალური პროკურატურიდან, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან, ასევე სხვა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია; გამოყენებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ შსს მიგრაციის დეპარტამენტში, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში, სახელმწიფო საზღვარზე, საერთო სასამართლოებში, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებში, სკოლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. ანგარიშის მიზნებისთვის განხორციელდა სპეციალური ვიზიტი შსს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში და გაიმართა, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ შეხვედრები ბენეფიციარებთან, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალებთან, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მცხოვრებ ქალებთან, და სხვ. ანგარიშში ასევე გაანალიზებულია სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების, სხვადასხვა პირებთან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას მიღებული ინფორმაცია. გარდა ამისა, ანგარიშში გამოყენებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები.

### 3. ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების მიმოხილვა

ლტოლვილთა დაცვის სისტემის შექმნაში მთავარი როლი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. სწორედ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად შეიქმნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და შემდეგ შემუშავდა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ კონვენცია და დამატებითი ოქმი, რომელთა გარეშეც არაეფექტიანი იყო ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის მექანიზმის ფუნქციონირება.

1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მისი 1967 წლის ოქმი ის მთავარი ინსტრუმენტებია, რომლებიც ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის სისტემის მუშაობის საფუძველს წარმოადგენენ საერთაშორისო მასშტაბით.<sup>8</sup> კონვენცია და მისი 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა მიმართ საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ერთობლიობაა, რომელთა დაცვისა და შიდა კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება ნაკისრი აქვს კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს.

<sup>8</sup> The UN Refugee Agency, სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ (ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად), ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/ygk8br> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

1951 წლის კონვენციის პრეამბულაში საგანგებოდ არის მითითებული მის ერთ–ერთ მთავარ მიზანზე - ლტოლვილთა მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით მაქსიმალურად სარგებლობის უზრუნველყოფაზე. 1951 წლის კონვენციის ძირითადი პრინციპები მოიცავს დისკრიმინაციის, ლტოლვილთა იძულებით დაბრუნების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დაუშვებლობას სახელმწიფოში არალეგალურად შესვლის ან დარჩენის გამო და დროთა განმავლობაში უფლებების მიღებასა და ამ უფლებებით სარგებლობას.<sup>9</sup> კონვენციაში ფართოდაა ასახული ვალდებულებათა სფერო, რომელიც სახელმწიფომ საერთაშორისო შეთანხმებაში მონაწილეობით აიღო თავის თავზე. მათ შორის, მნიშვნელოვანია ლტოლვილის უფლება, ჰქონდეს საცხოვრებელი, მიიღოს განათლება, დასაქმდეს და ხელი შეეწყოს მის ინტეგრაციას ადგილობრივ საზოგადოებაში. კონვენციაში, ლტოლვილის სტატუსის გარდა, დეტალურადაა განმარტებული ლტოლვილის უფლებები და ვალდებულებები თავშესაფრის ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია კონვენციასა და მის ძირითად დებულებებში გათვალისწინებული დაცვის უფლება, რაზეც ყურადღება მახვილდება კონვენციის 33-ე მუხლში. ეს მუხლი სახელმწიფოებს უკრძალავს ლტოლვილი პირის გასახლებას ან უკან დაბრუნებას (non-refoulement).<sup>10</sup> ეს მუხლი სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებს, არ გაასახლონ ან დააბრუნონ ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე შეიძლება დაემუქროს, რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთხვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. თუმცა, დებულება შეიცავს გამონაკლისს, რომელიც ვრცელდება ლტოლვილზე, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზის გამო, შესაძლოა, საფრთხეს წარმოადგენდეს სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის და მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის.

1967 წლის 31 იანვრის ოქმის<sup>11</sup> შექმნის მიზეზი 1951 წლის კონვენციის გეოგრაფიული და დროითი ჩარჩოს შეზღუდვა იყო. ამ ოქმით, კონვენციის მოქმედება გავრცელდა იმ ლტოლვილებზეც, რომლებიც 1950 წლის შემდეგ შეუდგნენ უსაფრთხო თავშესაფრის ძიებას.

ლტოლვილებზეა საუბარი „ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის მეოთხე კონვენციაში. კონვენციის 44-ე მუხლი ვრცელდება მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე, რომელთა შორის მოიაზრებიან ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები.<sup>12</sup> კონვენციის დამატებითი ოქმებში ასევე ითვალისწინებენ, რომ ლტოლვილები სარგებლობენ დაცვით,<sup>13</sup> ჟენევის მეოთხე კონვენციის პირველი და მესამე ნაწილების შესაბამისად.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იძულებითი დაბრუნების აკრძალვა - ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლი.

<sup>11</sup> ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/ip3vim> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>12</sup> Convention (IV) relative to the Protection of Civilian Persons in Time of War. Geneva, 12 August 1949.

COMMENTARY OF 1958, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/o2nvzg> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>13</sup> 1977 წლის დამატებითი ოქმი, მუხლი 77.

თავშესაფრის ძიების უფლება გამყარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითაც.<sup>14</sup> მართალია, დეკლარაციას არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, თუმცა, იგი გახდა ლტოლვილთა დაცვის ზოგადიდან ინდივიდუალურ მიდგომაზე გადასვლის საფუძველი საერთაშორისო დონეზე. დეკლარაციაში გამყარებულ სხვა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან ერთად, ლტოლვილებზე უშუალოდ ვრცელდება სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის, მოქალაქეობის, თავისუფლად გადაადგილების, ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლება და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების და იძულებით დაბრუნების აკრძალვის მოთხოვნა. დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტებთან ერთად, ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტია.

რაც შეეხება რეგიონულ დონეზე ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა<sup>15</sup> დაცვას, ამ მხრივ ინსტიტუციურად ყველაზე განვითარებულად ევროპული სისტემა მიიჩნევა. ეს სისტემა რამდენიმე ორგანიზაციის - ევროსაბჭო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევროკავშირი - ფარგლებში ჩამოყალიბდა და განვითარდა.

აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მიერ 1950 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შექმნა 1959 წელს, ასევე საგულისხმოა: „ლტოლვილთათვის ვიზების გაუქმების შეთანხმება“; 1967 წლის №14 რეზოლუცია „დევნის ქვეშ მყოფ პირთათვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ“; 1980 წლის შეთანხმება ლტოლვილებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის აღებაზე; 1981 წლის რეკომენდაცია „თავშესაფრის მინიჭების ეროვნული პროცედურის შესახებ“; 1990 წლის დუბლინის შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფოების პასუხისმგებლობას თავშესაფრის საქმის განხილვასთან და პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებით და ა.შ.

ევროპის საბჭოს ფარგლებში, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვის განსაკუთრებით ეფექტიანი მექანიზმია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე შემუშავებული პრეცედენტული სამართალი, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების შედეგად ჩამოყალიბდა. მართალია, კონვენციის ტექსტი პირდაპირ არ ასახელებს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებებს, თუმცა, ამის მიუხედავად, კონვენციის რიგი მუხლებისა და მათში განმტკიცებული პრინციპების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვის ბერკეტები, დაცვის გარკვეული სისტემა ასახული. მაგალითისათვის შესაძლოა მოვიყვანოთ კონვენციის მე-3 მუხლი წამების

<sup>14</sup> UN General Assembly, Universal Declaration of Human Rights, 10 December 1948, 217 A (III), ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/jelhag> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>15</sup> უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართა სახელმწიფო უწყებას და რომლის მიმართაც სამინისტროს გადაწყვეტილება არ მიუღია ან რომლის მიმართაც სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა („საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი).



აკრძალვის შესახებ, რომლის დარღვევის შემთხვევების განხილვამ და დადგენამ გაამყარა არგამეცების პრინციპი და ა.შ.

ლტოლვილთა დაცვის სისტემა და ინსტრუმენტები, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირის ფარგლებში, ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოებს შორის ღია საზღვრებს, თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვას ერთიანი ევროპის თავშესაფრის სისტემის პინციპით.<sup>16</sup> ამ სისტემის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები თავშესაფრის მინიჭების სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურების ერთიანი სტანდარტების შესაქმნელად, ლტოლვილთა მისაღებად და კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის.

აღსანიშნავია, 1999 წელს, ტემპერის შეხვედრის<sup>17</sup> შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ლტოლვილთა დაცვის მიმართულებით. მათ შორისაა ევროდაკის (Eurodac)<sup>18</sup> სისტემის შექმნა, რომელიც გულისხმობს თითო ანაბეჭდების ერთიან ბაზას, მესამე ქვეყნების მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად, ლტოლვილთა ან დამატებითი დაცვის მქონე პირთა ერთიანი სტატუსის და მინიჭებული სტატუსის შინაარსს;<sup>19</sup> საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და ჩამორთმევის<sup>20</sup> წესს; იმ პირებს, რომლებიც მიმართავენ საერთაშორისო დაცვის თხოვნით.<sup>21</sup>

2011/95/EC საკვალიფიკაციო დირექტივა ადგენს საერთაშორისო დაცვის მინიჭებას ევროკავშირში და სტატუსის მქონე პირთა სამართლებრივ სტატუსს. დირექტივის თანახმად, ვიწროვდება საერთაშორისო დაცვის ცნება და იგი მოიაზრებს მხოლოდ „ლტოლვილს“ და „დამატებითი დაცვის“ მქონე პირს.<sup>22</sup> ამასთანავე, საგულისხმოა, რომ როგორც „ლტოლვილის“, ისე „დამატებითი დაცვის“ მქონე პირის განმარტება არ შეესაბამება, ავიწროებს ჟენევის კონვენციის განმარტებას და გულისხმობს პირს, რომელიც არის მხოლოდ მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი.<sup>23</sup> შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის

<sup>16</sup> Common European Asylum System (CEAS), ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/hf04nn> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>17</sup> Tampere European Council 15 and 16 October 1999 Presidency Conclusions, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/cdilep> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>18</sup> Council Directive 2001/55/EC of 20 July 2001 on minimum standards for giving temporary protection in the event of a mass influx of displaced persons and on measures promoting a balance of efforts between Member States in receiving such persons and bearing the consequences thereof, OJ L 212, 7.8.2001, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/laweh8> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].12–23.

<sup>19</sup> Directive 2011/95/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on standards for the qualification of third-country nationals or stateless persons as beneficiaries of international protection, for a uniform status for refugees or for persons eligible for subsidiary protection, and for the content of the protection granted OJ L 337, 20.12.2011, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/w0sbev> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022], 9–26.

<sup>20</sup> Directive 2013/32/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on common procedures for granting and withdrawing international protection OJ L 180, 29.6.2013, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/ljyejz> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022], 60–95.

<sup>21</sup> Directive 2013/33/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 laying down standards for the reception of applicants for international protection, OJ L 180, 29.6.2013, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/1th730> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022], 96–116.

<sup>22</sup> Directive 2011/95/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on standards for the qualification of third-country nationals or stateless persons as beneficiaries of international protection, for a uniform status for refugees or for persons eligible for subsidiary protection, and for the content of the protection granted (recast), მუხლი 2 (ა), ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/jc1qp8> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>23</sup> იქვე, მუხლი 2(დ).

მოქალაქე პირს შეზღუდული აქვს უფლება მოითხოვოს თავშესაფარი ევროკავშირის ტერიტორიაზე. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მოქალაქეობა თავისუფლად გადაადგილებისა და ცხოვრების უფლებას იძლევა ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც, თავის მხრივ, ანეიტრალებს ამ შეზღუდვას. გამონაკლისი შემთხვევები გათვალისწინებულია ლისაბონის ხელშეკრულების №24 ოქმითაც.<sup>24</sup> დირექტივა ადგენს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და გარემოებების ინდივიდუალურ შეფასებას და ამ შეფასების შინაარსს,<sup>25</sup> დევნის სუბიექტებისა და იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც ვალდებული არიან განმცხადებელი დაიცვან ამ უკანასკნელის წარმოშობის ქვეყანაში.<sup>26</sup> დოკუმენტში ასევე განმარტებულია დევნის მოქმედებები და მათი გამოხატვის ფორმები.<sup>27</sup>

საკვალიფიკაციო დირექტივა იმეორებს 1951 წლის კონვენციის ძირითად დებულებებს. იგი, ძირითადი დებულებების გარდა, ასევე მოიცავს იმ წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ ლტოლვილის სტატუსის მიღების პირობებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. დირექტივა ადგენს წევრ სახელმწიფოებში საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძვლებს, განსაზღვრავს იმ პირთა სამართლებრივ სტატუსს, რომლებმაც მიიღეს დაცვა და ასევე ადგენს ამ სტატუსის ჩამორთმევის წესს და საფუძველს. დირექტივა ასევე შეიცავს ეფექტიან თანამშრომლობისთვის საჭირო ადმინისტრაციული ხასიათის დებულებებს.

2017 წელს ევროპარლამენტმა და საბჭომ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მეტი თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, სხვა ცვლილებებთან ერთად, ჩანაცვლებულიყო 2011/95/EC საკვალიფიკაციო დირექტივა. ნორმატიული აქტით, დირექტივის ცვლილებით, დაცვის სტანდარტები ჰარმონიზებული და უფრო მეტად მიახლოებული იქნება ევროკავშირის მასშტაბით აღიარებისა და დაცვის ფორმების დონეებთან. ახალი რეგულაცია მკაცრ წესებს აწესებს არასანქცირებული გადაადგილების შესაჩერებლად და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის სტიმულირების გასაძლიერებლად. ახალი რეგლამენტი განმარტავს საერთაშორისო დაცვის მინიჭების კრიტერიუმს, კერძოდ, შიდა დაცვის ალტერნატივის გამოყენება, წევრი სახელმწიფოებისთვის, აუცილებელი იქნება საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასებისას.<sup>28</sup>

2020 წელს, ევროპის კომისია გამოვიდა ინიციატივით, დუბლინი III შეცვლილიყო „მიგრაციისა და თავშესაფრის პაკტით“, რომელიც მიგრაციისადმი ყოვლისმომცველი ევროპული მიდგომის სხვადასხვა ელემენტს შეიცავს. პაკტში ასახულია თავშესაფრისა და მიგრაციის სისტემის ფარგლებში გაუმჯობესებული და დაჩქარებული პროცედურები,

<sup>24</sup> Consolidated version of the Treaty on the Functioning of the European Union – PROTOCOLS – Protocol (№ 24) on asylum for nationals of Member States of the European Union, OJ C 115, 9.5.2008, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/clael6> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022], 305–306.

<sup>25</sup> Directive 2011/95/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on standards for the qualification of third-country nationals or stateless persons as beneficiaries of international protection, for a uniform status for refugees or for persons eligible for subsidiary protection, and for the content of the protection granted (recast), მუხლი 4, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/jc1qp8> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>26</sup> იქვე, მუხლი 6, 7.

<sup>27</sup> იქვე, მუხლი 9.

<sup>28</sup> Common European Asylum System, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/vpxcsl> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

რომლებიც პასუხისმგებლობის სამართლებრივი გადანაწილებისა და სოლიდარობის პრინციპებს შორის ბალანსს ადგენს. პაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ევროკავშირის გარე საზღვრების კონტროლის გამკაცრება. საზღვრების ეფექტიანი მართვა შენგენის ზონაში შეუმოწმებლად გადაადგილების კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. შესაბამისად, აუცილებელია გამარტივდეს საზღვრის კანონიერი კვეთის პროცესი, მიგრაციის ეფექტიანი მართვა და გაუმჯობესდეს შიდა უსაფრთხოების დაცვა. პაქტში ასევეა მითითებული შენგენის შეთანხმების რეფორმის შესახებ, რომელიც გაუმჯობესებულ მუშაობასა და კრიზისებისადმი მდგრადობის გაზრდას ისახავს მიზნად.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება და ჰარმონიზაცია აღიარებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით<sup>29</sup>, რომლის თანახმად, მხარეები აღიარებენ საქართველოს ვალდებულებას, შესაბამის სფეროებში ეროვნულ კანონმდებლობასთან თანდათანობითი დაახლოებისა და მისი ეფექტიანი შესრულების თაობაზე. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმაში თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ დაგეგმილია საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პროცედურების სამართლებრივი რეგულირების შეფასება „საქართველოში დაცვაზე განმცხადებელთა მიღების ერთიანი სტანდარტების შესახებ“ ევროკავშირის 2013/32/EU დირექტივის გათვალისწინებით. შესრულებულ აქტივობებში აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ შეფასდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მიღების სამართლებრივი რეგულირება.<sup>30</sup>

ევროკავშირის 2013/32/EU დირექტივა უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვის პროცედურების სისწრაფეს და ეფექტიანობას, მეტად სამართლიანობას განმცხადებლების მიმართ და ამასთანავე, იმას, რომ აკმაყოფილებდეს ევროკავშირის მასშტაბით საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების სტანდარტებს. დირექტივა ადგენს უფრო მკაფიო წესებს, თუ როგორ უნდა მიმართოს პირმა საერთაშორისო დაცვას, რათა განაცხადებზე გადაწყვეტილებები მიიღებოდეს ადრინდელზე უფრო სწრაფად და შედეგიანად. უფრო მეტი სიცხადისთვის, მაგალითად, კონკრეტული ღონისძიებებია მისაღები, განსაკუთრებით საზღვრებთან, რათა დაეხმარონ ადამიანებს მიმართვაში. როგორც წესი, განაცხადის პირველადი პროცესი (აპელაციების ჩათვლით) არ უნდა გაგრძელდეს 6 თვეზე მეტ ხანს. ასევე, გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა იყვნენ სპეციალურად გადამზადებულნი და განმცხადებლებს უნდა მიეცეთ პროცედურული გარანტიები. აღსანიშნავია ასევე სპეციალური პროცედურების გამოყენების შესაძლებლობა კარგად განსაზღვრულ გარემოებებში, როდესაც განცხადება სავარაუდოდ უსაფუძვლოა, ან როდესაც არსებობს ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული პრობლემები. მსგავსი პროცედურებია დაჩქარებული პროცესი ან განცხადებების დამუშავება საბჭოში.<sup>31</sup>

<sup>29</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/xa9s2o> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>30</sup> ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, №171.2.

<sup>31</sup> European Union Asylum Procedures, Summary of Directive 2013/32/EU — common procedures for granting and withdrawing international protection, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/rov9nr> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

## 4. ეროვნული კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველად 1998 წელს მიიღეს,<sup>32</sup> თუმცა ხარვეზების გამო, არ შეესაბამებოდა ჟენევის 1951 წლის კონვენციას. კანონის ხარვეზები და ჟენევის კონვენციასთან მისი შეუსაბამობა დეტალურად არის გაანალიზებული და შეფასებული სახალხო დამცველის 2006 წლის საპარლამენტო ანგარიშში.<sup>33</sup> კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად 2011 წლის 6 დეკემბერს მიიღეს ახალი კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 18 მარტს.

ახლებურად ჩამოყალიბდა თავშესაფრის მამიებელ და ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება „ჰუმანიტარული სტატუსის“ ტერმინის შემოღება იყო, რომელიც დამატებითი დაცვის მექანიზმს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი ცვლილება იყო კანონში არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიების ასახვა. მიუხედავად „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული პოზიტიური ცვლილებებისა, კანონი კვლავ შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რომლებიც კანონით დაცული პირების მიერ მათი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას აფერხებდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი კანონის მიღების საკითხი. ამჟამად, საქართველოში თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდება, რომელიც ძალაში 2017 წლიდან შევიდა.

თავშესაფრის პროცედურული ასპექტები და გარანტიები მოქმედ კანონმდებლობაში სხვადასხვა ფორმით არის ასახული. მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე საგულისხმოა „თავშესაფრის პროცედურის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 21 ივლისის №99 ბრძანება, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო საზღვარზე თავშესაფრის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და რეფერირების საკითხებს. ქვემოთ მიმოხილულია ის პროცედურული გარანტიები, რომლებსაც თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში დასახელებული სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს. კერძოდ, მოქმედი რეგულაციებით:

- ა) ლტოლვილის დეფინიცია სრულად შეესაბამება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის შინაარსს;
- ბ) თავშესაფრის მამიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი დაცულია იმ ქვეყნის საზღვარზე დაბრუნებისგან ან გამეევებისგან, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე შეექმნება;

<sup>32</sup> პარლამენტის უწყებანი, 11-12, 18/02/1998.

<sup>33</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2006 წლის ანგარიში, <https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373616462.pdf>

- გ) თავშესაფრის მაძიებლის თავშესაფრის პროცედურებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, იმის მიუხედავად, განაცხადი საზღვარზე გაკეთებული თუ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- დ) თავშესაფრის განაცხადის სახელმწიფო საზღვარზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია პირს დაუყოვნებლივ გადაამისამართებს კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებასთან;
- ე) თავშესაფრის მაძიებელი ყველა პირი უზრუნველყოფილია მისი განაცხადის ინდივიდუალური და არსებითი განხილვით, რაც მოიცავს შესაძლებლობას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში პირადად გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მიაწოდოს ინფორმაცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით;
- ვ) თავშესაფრის მაძიებელი ყველა პირი თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილია უფასო იურიდიული დახმარებითა და თარჯიმნის მომსახურებით;
- ზ) თავშესაფრის მაძიებელ ყველა პირს, თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპზე ხელი მიუწვდება UNHCR-ისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერაზე;
- თ) სტატუსის მინიჭებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, პირი უზრუნველყოფილია შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით, სადაც განმარტებულია გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და პირობები;
- ი) საჩივარს განიხილავს სასამართლო, შესაბამისად, დაცულია საჩივრის დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ განხილვის აუცილებლობა. სადავო საკითხზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, პირს აქვს უფლება კანონიერად იმყოფებოდეს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ლტოლვილის სტატუსის გარდა, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის დამატებით ორ ფორმას ითვალისწინებს, ესენია ჰუმანიტარული სტატუსი და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.<sup>34</sup> ჰუმანიტარული სტატუსი პირს ენიჭება, თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, იგი სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.<sup>35</sup> ამავე დროს, კანონი ამომწურავად განსაზღვრავს გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც პირის მიმართ სერიოზული ზიანის შემთხვევად იქნება შეფასებული.<sup>36</sup> დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი ენიჭებათ მასობრივად შემოსულ პირებს, რომლებსაც განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო არ შეუძლიათ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება.<sup>37</sup>

<sup>34</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

<sup>35</sup> იქვე, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>36</sup> იქვე, 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>37</sup> იქვე, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

აქვე, დამატებით საყურადღებოა, რომ კანონი საერთაშორისო დაცვის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით დეტალურად გაწერს ბენეფიციართა უფლებრივ გარანტიებს, რომლითაც მათ საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიათ ისარგებლონ.<sup>38</sup> დადებითად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, მთელ რიგ საკითხებში, უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით საქართველოს მოქალაქეებთან არიან გათანაბრებულნი. კერძოდ, სკოლამდელი და ზოგადი განათლების, სახელმწიფო ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების, აგრეთვე შრომის უფლებით სარგებლობისას, მათ საქართველოს მოქალაქის თანასწორი უფლებები გააჩნიათ.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვნად იზიარებს ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, ეროვნულ კანონმდებლობაში რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც სრულყოფას და კონვენციით დადგენილ დანაწესთან მისადაგებას საჭიროებს. წინამდებარე სპეციალური ანგარიშის ამ ნაწილში ყურადღება სწორედ ზემოხსენებულ ხარვეზებზე გამახვილდება.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, ლტოლვილის სტატუსზე<sup>39</sup> პირს უარი ეთქმება, თუ იგი საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ტერიტორიული მთლიანობისთვის და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, ან თუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის საქართველოში. ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხე, ისევ როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეფასებული უნდა იყოს 1951 წლის კონვენციის გაძევების შესახებ 32-ე მუხლის, ან 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი არგამეგების პრინციპის გათვალისწინებით. წინამდებარე ნორმები, ზემოთ მოხმობილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის გაძევების პროცედურები. თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული გარემოებები არ წარმოადგენს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის წინაპირობას. ამდენად, კონვენციის თანახმად, ზემოთ მოყვანილი ლეგიტიმური გარემოებების არსებობა დაუშვებელია გახდეს პირისთვის ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმის წინაპირობა.

2017 წლამდე მოქმედი 2011 წლის „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების წინაპირობად ითვალისწინებდა სხვა სარწმუნო ჰუმანიტარულ დახმარებას.

<sup>38</sup> იქვე, თავი VII, თავშესაფრის მაძიებლის ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მქონე პირთა უფლება-მოვალეობანი.

<sup>39</sup> ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით („საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი).

სამწუხაროდ, ახალმა მოქმედმა კანონმა არ შეინარჩუნა მისი წინამორბედი სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც ძლიერი დაცვის მექანიზმი იყო. ამრიგად, დასახელებული საფუძველით ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლის გაუქმება ასუსტებს ეროვნულ სტანდარტებს. ამის საპირისპიროდ, ცვლილების მიზანი უნდა ყოფილიყო საუკეთესო პრაქტიკის გაუმჯობესება, რომელიც, 1951 წლის კონვენციის ობიექტებისა და მიზნების კეთილსინდისიერი განმარტების გზით, გააძლიერებდა და დახვეწდა თავშესაფრის სისტემას საქართველოში. დამატებით აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნები (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, დანია, ფინეთი, გერმანია, სლოვაკეთი, გაერთიანებული სამეფო) დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის განიხილავენ შემდეგ საფუძვლებს: ოჯახის ერთიანობა, ჯანმრთელობა, ბავშვთა დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები, ზოგადი ჰუმანიტარული საფუძვლები, დაბრუნების და სოციალური ინტეგრაციის პრაქტიკული შეუძლებლობა.<sup>40</sup>

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლში მითითებული ვადები იმეორებს ევროკავშირის თავშესაფრის პროცედურის დირექტივის 31-ე მუხლს.<sup>41</sup> ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, განაცხადის გაკეთების მომენტიდან, საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის განხილვა არ უნდა აღემატებოდეს 21 თვეს. აქვე ნიშნდობლივია აღინიშნოს, რომ ამ ვადის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საქმის სირთულის ან კანონით დადგენილი სხვა დასაბუთებული გარემოებების გამო, საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების ჩვეულებრივი წესით 6 თვის ვადაში განხილვა შეუძლებელია. თავშესაფრის პროცედურის არსებული პრაქტიკა, რომელიც ქვემოთ უფრო ვრცლად განხილული, ცხადყოფს, რომ სამინისტროს მხრიდან განაცხადების ჩვეულებრივი წესით დადგენილი ვადის დაცვა ვერ ხერხდება, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. მართალია, საქმის განხილვის მაქსიმალური 21-თვიანი ვადა შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას, მაგრამ 2017 წლამდე მოქმედ „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადას ერთი წლით აღემატება. საგულისხმოა, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა საკუთარი კომენტარები წარადგინა ევროკავშირის თავშესაფრის პროცედურის დირექტივაზე, რომლებშიც საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „ზედმეტად ხანგრძლივი პროცედურები ე.წ. „შემოსვლის წახალისებას“ იწვევს, რაც გულისხმობს, რომ საერთაშორისო დაცვაზე განაცხადების ნაწილი კეთდება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პირმა ისარგებლოს სისტემით მანამ, სანამ შესაბამისი უწყება მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მოკლე ვადაში მიღებული ხარისხიანი გადაწყვეტილებები კონვენციის წევრი სახელმწიფოების ინტერესებშია, ვინაიდან ამ გზით ამცირებენ მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ხარჯებს. გონივრულ ვადაში მიღებული გადაწყვეტილება ასევე განმცხადებლის ინტერესებშია, რომელიც

<sup>40</sup> European Council on Refugees and Exiles, Complementary Protection in Europe, 29 July 2009, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/pbafju> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>41</sup> Directive 2013/32/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on common procedures for granting and withdrawing international protection (recast), 29 June 2013, 180/60 -180/95; 29.6.2013, 2013/32/EU, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/cvrdg8> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

გაურკვეველ მდგომარეობაში არ იქნება დიდი ხნის განმავლობაში“.<sup>42</sup> ზემოაღნიშნული შენიშვნები თანაბრად ვრცელდება საქართველოზეც. ამდენად, მნიშვნელოვანია შემცირდეს თავშესაფრის პროცედურის ვადა და აღდგეს წინამორბედი კანონით დადგენილი სტანდარტი.

ვადების პრობლემურობის საკითხს ნაწილობრივ ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია.<sup>43</sup> წინამდებარე მონაცემები, რომლებიც შემდეგ თავში ცხრილებში ვრცლად არის მოცემული, თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ წლების მიხედვით სულ უფრო იზრდება იმ თავშესაფრის მაძიებელთა საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად 18, 21 და უფრო მეტი ვადა გახდა საჭირო. ამ ვადას, თუ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისთვის საჭირო ვადებს დავუმატებთ, დამაჯერებლად შეიძლება იმის თქმა, რომ თავშესაფრის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადები არაგონივრულად ჭიანჭურდება, სტატუსის მაძიებელ პირს ართმევს მთელი რიგი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას და ხანგრძლივი ვადით ტოვებს სამართლებრივ გაურკვევლობაში.

## 5. წვდომა საერთაშორისო დაცვის დადგენის პროცედურაზე და ხარისხი ადმინისტრაციულ დონეზე

საერთაშორისო დაცვის სტატუსის დადგენის პროცედურა უზრუნველყოფილია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ შსს მინისტრის ბრძანების<sup>44</sup> შესაბამისად. თავშესაფრის პროცედურა განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლის მიღების, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციისა და განხილვის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმებისა და ჩამორთმევის წესს, რომელზეც პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველო. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს, მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა როგორც საქართველოში შემოსვლისას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, ისე საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას.<sup>45</sup> საზღვარზე თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში, წესის თანახმად, შსს საპატრულო ან/და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელი ახდენს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებას. ამ მიზნით, პირთან ატარებს პირველად გასაუბრებას, აგროვებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მიგრაციის დეპარტამენტს უგზავნის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.<sup>46</sup>

<sup>42</sup> UN High Commissioner for Refugees (UNHCR), UNHCR comments on the European Commission's Amended Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on common procedures for granting and withdrawing international protection status (Recast) COM (2011) 319 final, January 2012, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/o2m8t4>> [ბოლოს ნანახია: 15.02.2022].

<sup>43</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 02.12.2021 წლის №MIA82103167315 წერილი.

<sup>44</sup> „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანება.

<sup>45</sup> საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 1.

<sup>46</sup> „უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის



თავშესაფრის პროცედურა შედგება ანკეტირებისგან, რომელიც ტარდება საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის გაკეთებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ასევე, გასაუბრებისგან განმცხადებლის ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრთან. მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, ანკეტირება ტარდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. ანკეტირების შემდგომი პროცედურაა გასაუბრება, რომელიც ტარდება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციიდან 4 თვის ვადაში, ხოლო დაჩქარებული წესით განხილვისას 1 თვის ვადაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრულ დროს. გასაუბრების მიზანია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების დადგენა, რომლებიც მოიცავს თავშესაფრის მამიებელი პირის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების და დაუბრუნებლობის მიზეზების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლითაც შეიძლება დადგინდეს პირზე საერთაშორისო დაცვის გავრცელების საჭიროება. გასაუბრების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად, გასაუბრებაც ფიქსირდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. ადმინისტრაციულ დონეზე ბოლო ეტაპია გადაწყვეტილება, რომელიც არის წერილობითი დოკუმენტი და მასში დასაბუთებულია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის საფუძვლები. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს საქმის არსებით ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამის მტკიცებულებებს.

საერთაშორისო დაცვის განაცხადი უნდა შეისწავლებოდეს ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.<sup>47</sup>

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაძლებელია ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით<sup>48</sup> დადგენილი წესით 1 თვის ვადაში.<sup>49</sup> თავშესაფრის მამიებლები უზრუნველყოფილნი არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო იურიდიული დახმარებით, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის მამიებლისათვის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხებზე უფასო იურიდიულ დახმარებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დონეზე საერთაშორისო დაცვის დადგენის პროცედურის ხარისხს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები 2015 წლიდან ატარებენ მონიტორინგს, როგორც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩეული საქმეებისა, ასევე მამიებლის ან მისი წარმომადგენლის თხოვნით. ამ ხნის განმავლობაში იყო გარკვეული სახის პროგრესიც და გამოწვევებიც.

---

დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის წესი“. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 21 ივლისის №99 ბრძანება.


47 საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, მუხლი 26.

48 ადმინისტრაციულ საპროცესო 21<sup>24</sup> მუხლი.

49 საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, მუხლი 47, პუნქტი 1.

სტატუსის დადგენის პროცედურის სტრუქტურა და თანამშრომელთა გადამზადება წლიდან წლამდე გრძელდება. თუმცა სტატუსის დადგენის შეფასებისას მნიშვნელოვანი გამოწვევაა თავშესაფრის სისტემის გადატვირთულობა, რაც საქმეთა რაოდენობითაც დასტურდება. კერძოდ, მიმდინარე თავშესაფრის განაცხადთა დიდი რაოდენობა, არასაკმარისი ადამიანური რესურსის პირობებში, იწვევს საქმეების დაგროვებას, შეზღუდულია განხილვის დრო, რაც მაღალი ალბათობით, მოქმედებს საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე. მიგრაციის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით,<sup>50</sup> 2021 წლის ბოლოსთვის თავშესაფრის განაცხადებზე, კერძოდ, ანკეტირებაზე ორი და გასაუბრებაზე - 7 თანამშრომელი მუშაობდა, ხოლო თითო თანამშრომელზე 100 საქმე მოდიოდა. ამ საკითხზე ვრცლად საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველი 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში.<sup>51</sup> პროცედურის ხარვეზად შესაძლოა დასახელდეს კონკრეტული საქმის შესწავლის ხანგრძლივობაც, რაც, მიღებული ინფორმაციის<sup>52</sup> თანახმად, წლიდან წლამდე იზრდება და კანონით დადგენილი ვადებიც ირღვევა<sup>53</sup>, რომლის თანახმად, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ 21 თვეს.

**2019-2021 წლებში სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები**




<sup>50</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის წერილი N MIA 8 21 03167355, 02.12.2021.

<sup>51</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/0avf7q>> [ბოლოს ნანახია 15.02.2022], 462-463.

<sup>52</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის წერილი N MIA 8 21 03167355, 02.12.2021.

<sup>53</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 4-ე პუნქტი.



საყურადღებოა შსს მიგრაციის დეპარტამენტში 2021 წელს მიღებული ცვლილებები, რომლის შედეგადაც გაუქმდა მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება და მისი ფუნქციები გადაეცა შსს მიგრაციის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სამსახურს.<sup>54</sup> მისასალმებელია, რომ ცვლილების ფარგლებში, სრულად შენარჩუნდა თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას სტატუსის დადგენის პროცესის მონიტორინგისა და საჭიროების დადგენის კომპეტენცია. მნიშვნელოვანია მითითებული ფუნქციების დაუბრკოლებლად განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ანკეტირების, გასაუბრების და გადაწყვეტილების პროცედურის ხარისხის შიდა კონტროლი და შემდგომი გაუმჯობესება.

თავშესაფრის პროცედურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თარჯიმნის როლი, რაც გასაუბრების პროცედურის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება დასახელდეს. სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ მიგრაციის დეპარტამენტში ანკეტირებისა და გასაუბრების პროცედურებზე ზოგჯერ მუშაობდნენ თარჯიმნები თარჯიმანთა ბიუროდან. შესაბამისად, ამ პირებს გავლილი არ ჰქონიათ ის აუცილებელი გადამზადება, რაც საჭიროა თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნისთვის და ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა სპეციალისტის მიერ დასმული კითხვის ინტერპრეტაცია. თარჯიმანმა, რომელსაც არ გაუვლია სპეციალური გადამზადება, შესაძლოა, შეგნებულად ან უნებლიეთ მოახდინოს გავლენა ანკეტირებაზე/გასაუბრებაზე და შესაბამისად, მათ შედეგებზე. მნიშვნელოვანია თავშესაფრის მაძიებლები თავშესაფრის პროცედურის ყველა საფეხურზე უზრუნველყოფილნი იყვნენ გადამზადებული და კვალიფიციური თარჯიმნის მომსახურებით.<sup>55</sup> სტატუსის დადგენის სპეციალისტის მოვალეობაა ასევე, თარჯიმანს პროცედურის ყველა საფეხურზე მიაწოდოს ინფორმაცია საქმის გარკვეულ გარემოებებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თარჯიმნის როლი მოწყვლადი კატეგორიის თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრებისას. აუცილებელია შესაბამისი სქესის თარჯიმნით უზრუნველყოფაც. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის<sup>56</sup> თანახმად,

<sup>54</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 22 00343734, 09.02.2022.


<sup>55</sup> UN High Commissioner for Refugees (UNHCR), UNHCR RSD Procedural Standards - Interpretation in UNHCR RSD Procedures, 2016, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/be2muh> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>56</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 22 00343734, 09.02.2022.

ამჟამად შსს მიგრაციის დეპარტამენტში მიმდინარეობს შტატგარეშე მოსამსახურე სხვადასხვა ენის თარჯიმნების შერჩევისა და მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი. ამ ეტაპზე, დასაქმებულია სხვადასხვა ენის 4 (ოთხი) თარჯიმანი, თუმცა დეპარტამენტი თარჯიმნებს ასევე იწვევს თარჯიმანთა ბიუროდან. დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, იგეგმება თარჯიმნებისთვის სპეციალური ტრენინგ-კურსის ორგანიზება და ჩატარება. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები დროულად განხორციელდეს თარჯიმანის სათანადო ხარისხით უზრუნველსაყოფად.

### 5.1. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

დღეისათვის საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე 1227 პირი ცხოვრობს. მათგან 493 ლტოლვილის სტატუსით, ხოლო 734 ჰუმანიტარული სტატუსით<sup>57</sup> სარგებლობს.<sup>58</sup> რაც შეეხება საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წარმოშობის ქვეყნებს, უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ერაყის და სირიის მოქალაქეები არიან.




საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა 2012 წლიდან დაიწყო და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2014 წელს მიაღწია, როდესაც მათმა რაოდენობამ 1792 პირს მიაღწია.<sup>59</sup>

<sup>57</sup> ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება („საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი).

<sup>58</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 22 00343734, 09.02.2022.

<sup>59</sup> სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველოს სახალხო დამცველის „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ წლიური ანგარიშებიდან, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.




საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მატება მსოფლიოსა და რეგიონში არასტაბილური სიტუაციებით იყო გამოწვეული. 2012-2013 წლებში, თავშესაფრის მაძიებელთა უმეტესობა ერაყიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან იყო, იქ არსებული კონფლიქტებისა თუ არამდგრადი სახელმწიფოებრივი სიტუაციიდან გამომდინარე. 2014 წლიდან, უკრაინაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, გაიზარდა უკრაინის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი.


თითქმის იგივე ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო წლებში. გაიზარდა მომართვიანობა ირანისა და თურქეთის მოქალაქეების მხრიდან, თუმცა იყვნენ ერაყის, სირიის, ეგვიპტისა და იემენის მოქალაქეებიც.

2021 წელს, 743 პირმა მოითხოვა თავშესაფარი. საინტერესოა, რომ მათგან სახელმწიფო საზღვარზე თავშესაფარი მოითხოვა მხოლოდ 8 პირმა. მიმართვების უმეტესობა ხდება ქვეყანაში შემოსვლისა და საზღვრის კვეთის შემდეგ.


თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნები შემდეგნაირად ნაწილდება:



2015 წელს სტატუსის მინიჭების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა, და მან 75% შეადგინა. ამ ფაქტზე გავლენა მოახდინა, როგორც სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის პოლიტიკის შეცვლამ, ისე რეგიონსა და მსოფლიოში არსებულმა სიტუაციამ - უკრაინაში კონფლიქტის დაწყებამ და ერაყსა და სირიაში საომარი მოქმედებების განახლებამ. თუმცა მომდევნო წლებში მინიჭების მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელთა ძირითადი ნაკადი ისეთი ქვეყნებიდან იყო, რომლებიც წარმოშობენ საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებს, იქ არსებული შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ ადამიანის უფლებათა დარღვევებიდან გამომდინარე.



უარის საფუძველი, უმრავლეს შემთხვევაში, მიზეზების არქონა, სახელმწიფო უშიშროების საფრთხე და შიდა გადაადგილების ალტერნატივის არსებობა იყო. ამასთანავე, იყო საკუთარი განცხადების საფუძველზე და პროცედურაზე გამოუცხადებლობის გამო საქმეების შეწყვეტის შემთხვევებიც.



2021 წელს, კვლავ საყურადღებო იყო სახელმწიფო უშიშროების საფრთხის საფუძველზე გაცემული უარი იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის<sup>60</sup>, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და ადამიანის უფლებები ირღვევა. ასეთ გადაწყვეტილებებში დასაბუთებულობის საკითხი კვლავ პრობლემურია, რადგან სამინისტროს მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უარის მიზეზად მითითებულია, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება სახელმწიფო უსაფრთხოების რეკომენდაციას. ამგვარი გადაწყვეტილებების შემთხვევაში, უგულებელყოფილია საქმის ინდივიდუალური გარემოებები და ადმინისტრაციული ორგანო უპირობოდ ითვალისწინებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაციებს. ისეთ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, არ არსებობს იმის შემოწმების შესაძლებლობა, ადგილი აქვს თუ არა თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებების დარღვევას ან შესაძლო დისკრიმინაციას თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობის კუთხით.

*5.2. საზღვარზე თავშესაფრის პროცედურაზე წვდომა  
(სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება  
საზღვრის უკანონო კვეთის დროს)*

<sup>60</sup> უსაფრთხოების საფუძველით, უარი ეთქვათ სირიის 10, იემენის 7, ერიტრეას 2 და თურქეთის 1 მოქალაქეს.

სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ სასაზღვრო კონტროლის მონიტორინგისას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამხვილებს ყურადღებას. მათ შორის არის პასუხისმგებელ პირთა ინფორმირებულობა თავშესაფრის მაძიებელთა გადამისამართების მექანიზმსა და მის ინსტრუმენტებზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შეყოვნებისას გასათვალისწინებელი ზოგადი სტანდარტები.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს. ამ მუხლის მიზნებისთვის, თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლისას დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში, განმარტავს ქვეყანაში უკანონოდ შემოსვლის მიზეზებს და მოითხოვს საერთაშორისო დაცვას, მას ენიჭება თავშესაფრის მაძიებელი პირის სტატუსი და ცნობა, რომელიც პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვისა და საქართველოში მის კანონიერად ყოფნის ფაქტს ადასტურებს.<sup>61</sup> თუმცა, განცხადების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუკი პირს უარი ეთქმება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე,<sup>62</sup> იგი, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლისთვის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>63</sup> დაექვემდებარება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს პრაქტიკაში გამოვლენილი აქვს ამ ნორმის შესაძლო დარღვევის შემთხვევები:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 21 ივლისის №99 ბრძანების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ან/და სასაზღვრო პოლიცია ახდენს საზღვარზე უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებას,<sup>64</sup> ასევე ატარებს მასთან პირველად გასაუბრებას<sup>65</sup> და უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ინფორმირებას.<sup>66</sup> იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ვერ ხერხდება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ან/და სასაზღვრო პოლიცია ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს მიგრაციის დეპარტამენტს, რომელიც ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ მიემგზავრება პირის განთავსების ადგილას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას მიგრაციის დეპარტამენტში, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი თავშესაფრის პროცედურის ჩასატარებლად.<sup>67</sup>

<sup>61</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი.

<sup>62</sup> ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე.

<sup>63</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>64</sup> „უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანების, №99, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>65</sup> იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>66</sup> იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>67</sup> იქვე, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.



სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებს შორის აღსანიშნავია თურქეთის ორი მოქალაქის დაკავების შემთხვევა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის<sup>68</sup> ბრალდებით პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა თურქეთის ორმა მოქალაქემ სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადა, რომ მათ საზღვარზე დაკავებისას მოითხოვეს თავშესაფარი. ინფორმაციის მოძიების<sup>69</sup> და ბრალდებულთა გამოკითხვის ოქმების საფუძველზე დადასტურდა, რომ პირებმა ნამდვილად მოითხოვეს თავშესაფარი საზღვარზე დაკავების დროს. სასაზღვრო პოლიცია ვალდებული იყო, როგორც კი გამოძვადებოდა საერთაშორისო დაცვაზე მოთხოვნა, თურქეთის ეს ორი მოქალაქე გაეთავისუფლებინა და მათი მოთხოვნის თაობაზე მიგრაციის დეპარტამენტისთვის ეცნობებინა. თუმცა შსს-ს ინფორმაციით, თურქეთის მოქალაქეების თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაცია არ დადასტურდა.<sup>70</sup> შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ისინი კანონის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს.

ზემოაღნიშნული საქმის ანალოგიური ვითარება იკვეთება იემენის მოქალაქის შემთხვევაშიც, რომელმაც დაკავებისას თავშესაფარი მოითხოვა<sup>71</sup>, თუმცა თავშესაფრის მაძიებლად არ დაურეგისტრირებიათ. ამ პირის მიმართ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე შეისწავლის საქმეს, რომელიც მაროკოს სამეფოს მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებას შეეხება. ამ პირებმა, სავარაუდოდ, ასევე მოითხოვეს თავშესაფარი, თუმცა, ისინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში არ გადაუმისამართებიათ.

აპარატი ასევე შეისწავლის საქმეს, რომელიც ეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებას. პირის განმარტებით, მან დაკავების მომენტში მოითხოვა თავშესაფარი.

ამ საქმეებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობისა და საზღვრის უკანონო კვეთისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპის შესაძლო დარღვევის ჭრილში შეისწავლის.

ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის ავღანეთის რესპუბლიკის მოქალაქის საქმეს, რომლის მტკიცებითაც, მან საპასპორტო კონტროლის გავლისას მოითხოვა თავშესაფარი, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუშვეს, იძულებით ჩასვეს

<sup>68</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლი.

<sup>69</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 5 სექტემბრის N MIA 3 19 02359630.

<sup>70</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 19 02359630.

<sup>71</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული, 2019 წლის 4 თებერვლით დათარიღებული ბრალდებულის გამოკითხვის ოქმით, აგრეთვე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო მთავარი სამმართველოს 2019 წლის 27 თებერვლის წერილით, N MIA 4 19 00515459 და შესაბამისი მესაზღვრე თანამშრომლების მოწმის სახით გამოკითხვის ოქმებით დგინდება, რომ იემენის მოქალაქემ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაცია მოითხოვა.

თვითმფრინავში და დუბაიში დააბრუნეს. ამ პირის დედა და და საქართველოში იმყოფებიან და თავშესაფრის მაძიებელი პირის სტატუსით სარგებლობენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხს თავშესაფრის მაძიებელი პირის მიმართ, თავშესაფრის სტატუსის მაძიებლის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ წყვეტს.<sup>72</sup> თუმცა ამის საპირისპიროდ, სახალხო დამცველისთვის ცნობილია კოტ-დ'ივუარის რესპუბლიკის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელი ქალის თაობაზე<sup>73</sup>, რომელიც 2019 წლის 13 მარტს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს ორსულად იყო და დღეის მდგომარეობით ორ ტყუპთან ერთად ცხოვრობს თავშესაფარში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალის საერთაშორისო დაცვის სტატუსი ამ დრომდე გადაუჭრელია და ის კვლავაც ელის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილებას, მის მიმართ პარალელურად მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>74</sup> მეტიც, თავშესაფრის მაძიებელ ქალს საქართველოს პროკურატურა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას სთავაზობს.

### *5.3. თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებული პირებისათვის საქართველოს ტერიტორიის დატოვების აკრძალვა*

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პრობლემურია ნორმები,<sup>75</sup> რომელთა თანახმად, საერთაშორისო დაცვის შესახებ, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადების განხილვის ერთ-ერთი წინაპირობა, განცხადების წარდგენიდან საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდში, განმცხადებლის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნაა. პროცესი, შესაძლოა, ორ წლამდე გაგრძელდეს, და ამ დროის განმავლობაში, განმცხადებლის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა, თუნდაც მცირე ვადით, საერთაშორისო დაცვის შესახებ საქმის შეწყვეტასა და მისი მოთხოვნის განხილვაზე უარს გამოიწვევს.<sup>76</sup> საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ამ პრობლემის გამო, ამ საკითხზე 2021 წლის 22 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.<sup>77</sup>

<sup>72</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 10 მარტის წერილი №13/13119.

<sup>73</sup> ა(ა)იპ „უფლებები საქართველოს“ მიერ საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით განხორციელებული ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და გაძლიერების პროექტის ფარგლებში წარმოებული საქმე.

<sup>74</sup> სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) გათვალისწინებულ სავარაუდო დანაშაულთან მიმართებით.

<sup>75</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ“ პუნქტი; „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ზ“ პუნქტი.

<sup>76</sup> გარდა იმ შემთხვევისა, თუ საზღვრის გადაკვეთა უკავშირდება პირის „სასიცოცხლო ინტერესს“, როგორც ეს გათვალისწინებულია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ“ პუნქტით.

<sup>77</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №1629.

ნიშანდობლივია, რომ სამგზავრო დოკუმენტი ერთმევა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა ვრცელდება თავშესაფრის ყველა მაძიებელზე, მათი მდგომარეობის ინდივიდუალურად შეუფასებლად.<sup>78</sup> მართალია, კანონი ითვალისწინებს განმცხადებლების მიერ საქართველოს დატოვების შესაძლებლობას, მაგრამ ეს მხოლოდ „სასიცოცხლო ინტერესებთან“<sup>79</sup> არის დაკავშირებული, რაც ძირითადად მხოლოდ პირის ჯანმრთელობის ინტერესებს მოიცავს.<sup>80</sup>

ამგვარი რეგულირების გამო, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მიღების თაობაზე განცხადების განხილვის პერიოდში, განმცხადებლები ვერ სარგებლობენ რიგი სერვისებით. მაგალითად, მათ პრობლემები ექმნებათ იმ საბანკო მომსახურებაზე წვდომისას, რომლის მიღებაც საქართველოში შეუძლებელია და რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, მეზობელ ქვეყანაში გამგზავრებას საჭიროებდეს. სახალხო დამცველისთვის ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პერიოდში, თავშესაფრის მაძიებელი პირები საჭიროებდნენ საქართველოდან გასვლას. მაგალითად, საგულისხმოა ერაყის მოქალაქეების შემთხვევა, რომლებიც რეგისტრირებულები იყვნენ თავშესაფრის მაძიებლებად, ჩამორთმეული ჰქონდათ სამგზავრო დოკუმენტაცია და, შესაბამისად, არ ჰქონდათ ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა. მათი შემოსავლის მთავარი წყარო ერაყში დანიშნული პენსია იყო, რომლის მიღებაც შეუძლებელი იყო საქართველოში, და თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანკით სარგებლობას საჭიროებდნენ. გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მიღების თაობაზე განცხადების განხილვის პერიოდში, განმცხადებლებს საქართველოს ტერიტორიის დროებით დატოვება არც მოკლევადიანი სამუშაოს მიღების მიზნით შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას საქართველოში საარსებო წყარო არ გააჩნია.

თავშესაფრის მაძიებლებისთვის, საერთაშორისო განცხადების განხილვის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ზემოთ განხილული შეზღუდვა, შეიძლება ჩაითვალოს იმგვარ საშუალებად, რომელიც, მართალია, მიმართულია ლეგიტიმური მიზნის<sup>81</sup> მიღწევისაკენ, მაგრამ ის არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი<sup>82</sup>, ყველაზე

<sup>78</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №1629, 14.

<sup>79</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>80</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №1629, 8.

<sup>81</sup> საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვის პროცესში ხშირია შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება პირის ამოცნობა. ზოგიერთ შემთხვევებში არსებობს რისკი, რომ ის თავს აარიდებს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან თანამშრომლობას, ასევე არსებობს მიმალვის საფრთხე. შესაძლოა არსებობდეს რისკი, რომ პირი საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას. პირისთვის სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევის და მისი გადაადგილების შეზღუდვა, შესაძლოა, ამ რისკების თავიდან არიდებას ემსახურებოდეს („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №1629, 11).

<sup>82</sup> სხვა ქვეყნების პრაქტიკის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ბელგიაში თავშესაფრის მაძიებლებს არ აქვთ სამგზავრო დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება, თუკი დოკუმენტის ჩაბარება თავშესაფრის მაძიებლის ვინაობის დასადგენად არ არის საჭირო, ან თუ არ არსებობს ეჭვი დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ. ასეთ შემთხვევაშიც კი, მათ დოკუმენტები მხოლოდ გარკვეული პერიოდით ჩამოერთმევათ, მანამდე, ვიდრე მათ ვინაობას არ დაადგენდნენ/დოკუმენტის ნამდვილობას არ დაადგენდნენ. მსგავსი რეგულირებაა, მათ შორის, ხორვატიაში, მალტასა და სლოვენიაში (EMN Ad-hoc Query on Handing over of personal documents in the framework of the asylum and return procedure, European Migration Network (EMN), 2016).

ნაკლებად მზლუდავი<sup>83</sup> საშუალება.<sup>84</sup> განცხადების განხილვის პერიოდში შესაძლებელია როგორც ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება, ისე წინასწარ შეთანხმება სამინისტროსთან საქართველოს დატოვების თარიღთან დაკავშირებით, ისე, რომ არ დაზიანდეს განცხადების განხილვის პროცედურა.<sup>85</sup>

## 6. თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პირობები

საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებს უფლება აქვთ მარტყოფში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსდნენ. ცენტრი 132 პირზეა გათვლილი და საცხოვრებელი ფართი გამოიყოფა ერთი პირისათვის ან ოჯახებისათვის. მიმღებ ცენტრში შესაძლებელია პირთა კოლექტიური განთავსებაც. აქ ცხოვრება უფასოა და განთავსებისას თავშესაფრის მაძიებლებს ერთჯერადად გადაეცემათ თეთრეული და პირადი ჰიგიენის ნივთები, ჭურჭელი და საკვები.

ცენტრში თავშესაფრის მაძიებლის ცხოვრების ხანგრძლივობა სტატუსის დადგენის პროცედურის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირი ვალდებულია დატოვოს მიმღები ცენტრი.

თავშესაფრის მაძიებელთა მიღების სტანდარტები მჭიდროდ არის დაკავშირებული სტატუსის დადგენის პროცედურასთან, ამდენად, მნიშვნელოვანია, თავშესაფრის მაძიებლებს ხელი მიუწვდებოდეთ ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებზე.<sup>86</sup> იმ მაძიებლების თავშესაფრით უზრუნველყოფა, რომლებიც საცხოვრებლით უზრუნველყოფას საჭიროებენ, სახელმწიფოებს ეკისრებათ.<sup>87</sup> მიმღებ ცენტრში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები მინიმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც, მათ შორის, ინფრასტრუქტურაზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე წვდომას გულისხმობს.<sup>88</sup>

მარტყოფის მიმღები ცენტრი აკმაყოფილებს მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს. მაძიებლებს ხელი მიუწვდებათ შესაბამის ინფრასტრუქტურაზეც. თუმცა, შესაძლოა, დაბრკოლებად განვიხილოთ ადმინისტრაციული ცენტრისგან სიშორე, რის გამოც მაძიებლებს დედაქალაქში სხვადასხვა სერვისის მისაღებად საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრობა უწევთ.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ ცენტრში არსებული პირობები ვერ უზრუნველყოფს მაძიებლის ან მისი ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას, მნიშვნელოვანია განსახლების ალტერნატიული ფორმები გამოიყენებოდეს.<sup>89</sup>

<sup>83</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ ყველაზე ნაკლებად მზლუდველ საშუალებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება, II-26.

<sup>84</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №1629, 13.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> Reception Standards For Asylum Seekers In the European Union, UNHCR Geneva, July 2000.

<sup>87</sup> „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მე-11 მუხლი.

<sup>88</sup> ICESCR General Comment No. 4 in relation to Article 11, Document N E/1992/23.

<sup>89</sup> „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მე-17 მუხლი.

## 7. თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი განთავსების ცენტრში

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შეამცირა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა პროაქტიული მონიტორინგი. თუმცა მოთხოვნას მოჰყვებოდა დაუყოვნებელი რეაგირება, ვიზიტი და კონკრეტულ პირთან გასაუბრება. 2021 წელს, შესაბამისი ენის თარჯიმნებთან ერთად ჩატარდა სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის №17, 15, 10 დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრების მონიტორინგი.

ინდივიდუალური საქმეების მონიტორინგმა აჩვენა, რომ საკნებში არსებული ზოგადი პირობები დამაკმაყოფილებელია, თუმცა პრობლემად იკვეთება საკნის გადატვირთულობა და მიგრაციული წესების დარღვევით დაკავებული პირების სხვა მძიმე დანაშაულის გამო მსჯავრდებულ პირებთან ერთად ყოფნა. ასევე კვლავ აქტუალურია კომუნიკაციის პრობლემა, რადგან დაწესებულებები არ არის უზრუნველყოფილი თარჯიმნით და ხშირად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლებს, დაბრკოლებები ექმნებათ კონკრეტული სერვისის მიღებისას, თუნდაც განცხადების დაწერისას და თარგმნისას, რაც ხშირად საკმაოდ დიდ დროსთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობას, 2021 წელს განაცხადი არ შემოსულა. ამის მიუხედავად, 2020<sup>90</sup> - 2021<sup>91</sup> წლებში, დაწესებულებაში კორონავირუსის თავიდან არიდების მიზნით მიღებული ეპიდემიოლოგიური ზომების მიგრანტების უფლებებზე გავლენის შესაფასებლად და 2019 და 2020 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესამოწმებლად, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა (ნპმ) ჩაატარა ცენტრის მონიტორინგი.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაცემული 11 რეკომენდაციიდან შესრულდა 6 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულდა 2, არ შესრულებულა 3 რეკომენდაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესრულდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც პირველადი სამედიცინო შემოწმებისას გადამდები დაავადებების (ტუბერკულოზი, „B“ და „C“ ჰეპატიტები, აივ ინფექცია/შიდსი) შემოწმებას ითვალისწინებდა.<sup>92</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ მიგრაციის დეპარტამენტი სრულ მზადყოფნას გამოხატავს სახალხო დამცველის აპარატთან ამ საკითხებზე სათანამშრომლოდ, რაც ხელს შეუწყობს დროებითი განთავსების ცენტრში ადამიანის უფლებებზე მორგებული სტანდარტების შექმნას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცენტრში განთავსებულ პირთა, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივ მდგომარეობას.

<sup>90</sup> <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020071300060012151.pdf>

<sup>91</sup> <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021111112020776878.pdf> გვ. 147.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 148

## 7. ძირითად უფლებებზე ხელმისაწვდომობა

### 7.1. კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უცხოელთა უფლებები მაქსიმალურად არის დაახლოებული საქართველოს მოქალაქეთა უფლებებთან. თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები,<sup>93</sup> რაც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ<sup>94</sup> და პოლიტიკურ<sup>95</sup> უფლებებს უკავშირდება.

საქართველოში მყოფ უცხოელებს უფლება აქვთ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა,<sup>96</sup> გასწიონ საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობა,<sup>97</sup> მიიღონ განათლება,<sup>98</sup> ხელი მიუწვდებოდეთ დასაქმებაზე,<sup>99</sup> ჯანმრთელობის დაცვაზე,<sup>100</sup> სოციალურ უზრუნველყოფაზე<sup>101</sup> და სხვ. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი შეეხება უცხოელთა უფლებრივ საკითხებს, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ჰქონდეს მიგრაციასთან დაკავშირებული ერთიანი ხედვა. საქართველოს მთავრობამ მიგრაციის სტრატეგიული დოკუმენტი პირველად 2013 წელს დაამტკიცა,<sup>102</sup> და ის 3 წელზე იყო გათვლილი. შემდგომი სტრატეგიული დოკუმენტი 2016 წელს იქნა მიღებული და მოიცავდა 5-წლიან ხედვას მიგრაციის სფეროში.<sup>103</sup> ამჟამად მოქმედებს საქართველოს 2021–2030 წლების მიგრაციის სტრატეგია (შემდგომში მიგრაციის სტრატეგია),<sup>104</sup> რომელიც საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებსა და საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრებ უცხოელებს ეხება. მიგრაციის სტრატეგიის უმთავრესი მიზანია, მიგრაციის „სფეროში განსაზღვროს ქვეყნის კონკრეტული ინტერესები, მოარგოს „მიგრაციის და განვითარების“ პოლიტიკა და წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან კორელაციის გზით განავითაროს საკუთარი სისტემა, რათა უპასუხოს თანამედროვე საზოგადოებრიობის წინაშე მდგარ გამოწვევებს“.<sup>105</sup> განახლებადა სტრატეგიის შესრულების მიზნით მიღებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გარკვეულ პერიოდში შესასრულებელ ამოცანებს აერთიანებს.<sup>106</sup>

<sup>93</sup> საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>94</sup> მაგალითად, საარსებო შემწეობით ვერ სარგებლობს საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, გამონაკლისია საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

<sup>95</sup> მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

<sup>96</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი.

<sup>97</sup> იქვე, 28-ე მუხლი.

<sup>98</sup> იქვე, კანონის 33-ე მუხლი.

<sup>99</sup> იქვე, 29-ე მუხლი.

<sup>100</sup> იქვე, 30-ე მუხლი.

<sup>101</sup> იქვე, 31-ე მუხლი.

<sup>102</sup> „საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №59 დადგენილება.

<sup>103</sup> „საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №622 დადგენილება.

<sup>104</sup> „საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილება.

<sup>105</sup> „საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილება, შესავალი.

<sup>106</sup> ამჟამად მოქმედებს მიგრაციის სტრატეგიის შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა.

მიგრანტთა ინტეგრაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური ერთიანობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის. იმისათვის, რათა მიგრანტებმა თავი ჩვენი საზოგადოების ნაწილად იგრძნონ, მათდამი მოპყრობა უნდა იყოს სამართლიანი და ამასთანავე, სრულად ინტეგრაციისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათთვის შესაბამისი ინსტრუმენტებით აღჭურვა. ინტეგრაცია უწყვეტი, ორმხრივი პროცესია, რომელიც ეფუძნება, როგორც მიგრანტების, ისე მასპინძელი საზოგადოების ორმხრივ უფლებებსა და შესაბამის ვალდებულებებს.

მიგრაციის სტრატეგია მეტნაკლებად აყალიბებს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო ხედვას. თუმცა, ამ დრომდე არ არის შემუშავებული იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტი“, რომლის შემუშავებაც 2021 წელს იყო გათვალისწინებული.<sup>107</sup> ამ პირობებში კი, არ არის ნათელი, რა მიზანს ისახავს სახელმწიფო უცხოელთა ინტეგრაციით, რატომ არის მნიშვნელოვანი უცხოელთა ინტეგრაცია და რა სარგებელი, მათ შორის ეკონომიკური, შეიძლება მიიღოს ამით ქვეყანამ. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო უცხოელთა უფლებების დაცვის, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და გატარების კუთხითაც.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის ბოლოს შეიქმნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, სადაც შექმნილია ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური. სწორედ ეს სამსახური უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საინტეგრაციო პროგრამის განხორციელებასა და ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირებას.

## *7.2. პირითად უფლებებზე წვდომასთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკაში*

უცხოელთა ინტეგრაციის მიზნის მიღწევა მათთვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით რეალურად სარგებლობით არის შესაძლებელი. მიგრანტების ინტეგრაციისთვის, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია ენობრივი ბარიერის დაძლევა. ენის ცოდნა მნიშვნელოვანია ყოველდღიური ურთიერთობებისა და საბაზო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მნიშვნელოვანი კომპონენტია მასპინძელი ქვეყნის შესახებ, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ქონაც.

ინტეგრაციის ცენტრი 4 სხვადასხვა საინტეგრაციო პროგრამაზე მუშაობს: ქართული ენის კურსები, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო განათლების კუთხით ინფორმირება და საკონსულტაციო სერვისი.

თავშესაფრის მაძიებლებს, უმრავლეს შემთხვევაში, პირველადი კომუნიკაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტთან აქვთ. რადგანაც ეს მიგრანტებს

<sup>107</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 24 დეკემბრის №01/21385 წერილი.

შორის ყველაზე მოწყვლად კატეგორიად მიიჩნევა, მნიშვნელოვანია, რომ მიგრაციის დეპარტამენტშივე, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდებოდეთ ინფორმაცია იმ საინტეგრაციო პროგრამების შესახებ, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. ამ მიზნით, მიგრაციის დეპარტამენტში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მოთავსებულია ბროშურები ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც მუშაობენ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა დახმარებისა და ადგილობრივი ინტეგრაციის მიმართულებით. ასევე, მიგრაციის დეპარტამენტი, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ბენეფიციარებთან პროაქტიულად კომუნიკაციის მიზნით, პერიოდულად აწვდის თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ განახლებულ მონაცემებს. 2021 წელს ინფორმაცია გაიგზავნა ივნისში, ხოლო განახლებული ინფორმაციის მიწოდება 2021 წლის ბოლოს იყო დაგეგმილი.<sup>108</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თავის მხრივ, სააგენტოს არ აქვს ერთიანი მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული იქნებოდა ბენეფიციართა მონაცემები.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს როგორც საინფორმაციო ბროშურების განთავსებას, ისე მიგრაციის დეპარტამენტის მხრიდან სააგენტოსათვის მათი ბენეფიციარების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას, თუმცა საინტეგრაციო პროგრამებში ჩართულობის გასაზრდელად, უმჯობესია უფრო ხშირად იცვლებოდეს მონაცემები და ადგილზე მისულ ბენეფიციარებს ზეპირსიტყვიერადაც მიეწოდებოდეთ ინფორმაცია საინტეგრაციო პროგრამებისა და მათი განმახორციელებელი უწყების შესახებ.

საინტეგრაციო პროგრამების განხორციელება სააგენტომ 2020 წლის 18 ივლისიდან დაიწყო,<sup>109</sup> რაც ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიას დაემთხვა, შესაბამისად, სასწავლო პროგრამები დისტანციურად მიმდინარეობდა. ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის სამიზნე ბენეფიციარები ძირითადად თბილისში არიან თავმოყრილები. ბენეფიციართა მცირე რაოდენობა კი იმერეთისა და აჭარის რეგიონებში ცხოვრობს და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, პროგრამებში მონაწილეობა დისტანციური სერვისების გამოყენებით მიეღოთ. თუმცა ბენეფიციარები საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან ამ პროგრამების ნაკლოვანებებზე უთითებდნენ. მათი თქმით, სირთულეებთან იყო დაკავშირებული ელექტრონული პლატფორმით სარგებლობა. პრობლემურია ისიც, რომ ქართული ენის სწავლის მსურველთა სიმცირის გამო, ენის უფრო მაღალ საფეხურზე სასწავლებლად ჯგუფები ვერ კომპლექტდება. ბენეფიციარები დამატებით უთითებდნენ ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ პრობლემებზეც.<sup>110</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ენის სწავლის შესაძლებლობის შესახებ. ამდენად, მნიშვნელოვანია, სააგენტომ აქტიური საინფორმაციო კამპანია გასწიოს ენის სწავლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

გარდა იმისა, რომ საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთათვის მიგრაციის დეპარტამენტში განთავსებულია საინფორმაციო ბროშურები, სააგენტო ბენეფიციარებს

<sup>108</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2021 წლის 17 დეკემბრის №12103317027 წერილი.

<sup>109</sup> სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის №03/10234 წერილი.

<sup>110</sup> საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ რთული იყო ყოველდღიურად 4-საათიან ლექციებზე დასწრება.



საინტეგრაციო პროგრამების შესახებ ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც ატყობინებს. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ეს, შესაძლოა, არ იყოს შედეგის მომტანი, ვინაიდან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ენის სასწავლო კურსები 2020 წელს 60-მა ბენეფიციარმა, ხოლო 2021 წელს 102-მა ბენეფიციარმა გაიარა, შესაძლებელია, ამგვარი კომუნიკაცია ბენეფიციარებთან, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეფექტიანი არ იყოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელისა და ვებგვერდის საშუალებითაც, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივი საძიებო სისტემის საშუალებით შეძლონ ინფორმაციის მოძიება ინტეგრაციის პროგრამებთან დაკავშირებით. ამჟამად დევნილთა სააგენტო მართავს სოციალურ ქსელს,<sup>111</sup> სადაც ძალიან მწირია მონაცემები ინტეგრაციის ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით. ასევე მწირია ამავე სააგენტოს ვებგვერდზე<sup>112</sup> განთავსებული ინფორმაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, მიგრანტთა ინტეგრაცია არ არის ცალმხრივი პროცესი და ის მხოლოდ უცხოელებისგან არ მოითხოვს გარკვეული ძალისხმევას გაწევას (ისწავლონ ენა, მიიღონ ქვეყნის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.), მნიშვნელოვანია, მიმღები საზოგადოებაც იყოს ტოლერანტული მიგრანტების მიმართ. ამ მხრივ, კი სახელმწიფოს, ერთი მხრივ, მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გაცხადებული პოლიტიკა მიგრანტთა ინტეგრაციით მიღწეული სარგებლიანობის შესახებ, ასევე, ხელს უწყობდეს ცნობიერების ამაღლებას უცხოელთა უფლებების მიმართულებით.

ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია დასაქმებაც. იმისთვის, რათა მიგრანტი არ იყოს სახელმწიფოს დახმარებაზე დამოკიდებული, ხელი უნდა შეეწყოს, ერთი მხრივ, მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებას, ხოლო შემდგომში მათ ლეგალურ დასაქმებას. სწორედ მათი უნარების გამოყენებით სახელმწიფოს დოვლათის შექმნაში, იქმნება მიგრანტთა ინტეგრაციის სარგებელი. ამ მიზნით, 2020 წლის ბოლოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) თანამშრომლობით, შემუშავდა ერთობლივი პროექტი „საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა საქართველოში ინტეგრაციის მხარდაჭერა“. პროექტის ფარგლებში, სამიზნე ბენეფიციართა ინდივიდუალური სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა საარსებო წყაროებზე წვდომის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა ეკონომიკურ მხარდაჭერას. პროგრამა განხორციელდა სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, და მის ფარგლებში დაფინანსდა 15 დევნილის საწარმო, თითოეული დაახლოებით 7500 ლარის ბიუჯეტით, რომლებმაც, თავის მხრივ, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაასაქმეს 15 ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი და მოქალაქეობის არმქონე პირი, სულ მცირე, 6 თვის განმავლობაში. როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს არ აქვს ერთიანი მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული იქნებოდა ბენეფიციართა მონაცემები. ბაზის არქონა, ართულებს როგორც ბენეფიციართა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ქონას, ასევე, მათი საჭიროებებისა და უნარების შესწავლას.

<sup>111</sup> ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/tot9pq> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>112</sup> ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/hxo9dx> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

მიგრანტთა დასაქმების კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს როლიც. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში ([www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge)) საქართველოს მოქალაქეების გარდა რეგისტრირდებიან სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოში კანონიერ საფუძველზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მინიჭებულ თერთმეტნიშნა საიდენტიფიკაციო კოდს (პირადი ნომერი). სისტემაში 53 საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირია რეგისტრირებული და დასაქმების მსურველ მიგრანტებს მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლიათ სისტემაში დარეგისტრირება,<sup>113</sup> რაც ენის არმცოდნე ბენეფიციარებისათვის დამატებით ბარიერს ქმნის.

## *7.2. თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ჩართვა სოციალურ/ეკონომიკურ პროგრამებში*

თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მათი სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობა. მოქმედი კანონმდებლობით, სტატუსის მქონე პირებზე გაიცემა ყოველთვიური შემწეობა 45 ლარის ოდენობით, ხოლო სტატუსის მაძიებლებისთვის შემწეობა გათვალისწინებული არ არის.

რაც შეეხება ჯანდაცვის საკითხებს, მოქმედი კანონმდებლობით,<sup>114</sup> ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, სარგებლობენ საბაზო ჯანდაცვის სერვისების დაფინანსებით.

თუმცა, ვინაიდან სერვისების მიმწოდებლები არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირები ხშირად აწყდებიან დაბრკოლებას სერვისით სარგებლობისას. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ, ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს საპილოტო რეჟიმში დაიწყო გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე საერთაშორისო დაცვის მქონე პირების და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სამედიცინო დახმარების ან/და მედიკამენტების დაფინანსება.<sup>115</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)<sup>116</sup> არ ითვალისწინებენ სოციალურ გასაცემლებს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთათვის. გამონაკლისია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებულია დაფინანსება მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები

<sup>113</sup> სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2022 წლის 7 აპრილის №05/607 წერილი.

<sup>114</sup> „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება.

<sup>115</sup> სსიპ დევენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის №03/10234 წერილი.

<sup>116</sup> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2021 წლის 14 დეკემბრის №15-01213482927, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2021 წლის №04-1421344596, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 21 დეკემბრის №44-4421355159 წერილები.

ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობისთვის, მწვავე გადაუდებელ შემთხვევაში.<sup>117</sup>

ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთათვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარებები ძირითადად ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისათვის გაიცემა. სხვა სახის საჭიროებების დაფინანსება კი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

## 8. სპეციფიკური საჭიროების მქონე თავშესაფრის მაძიებლები

თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანაში პირთა ამ ჯგუფის დაცვა შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს, როგორც პოლიტიკის, ისე პრაქტიკის დონეზე. პასუხისმგებელი უწყებების მიერ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შორის შშმ პირების ცალკე ჯგუფად განხილვის ნაკლებობისა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელი ხდება შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სრულფასოვანი შეფასება, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართვის, ისე ჯანმრთელობის, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის კუთხით. განსაკუთრებით პრობლემურია, რომ ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელი თუ შესაბამისი სტატუსის მქონე პირთა მონაცემები არ დაიყოფა და სტატისტიკა არ იწარმოება შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით, რაც განსაკუთრებით ართულებს მათი უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას. ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ შშმ პირთა საჭიროებები სისტემისთვის უხილავია საერთაშორისო დაცვის პროცედურის ყველა ეტაპზე. მოქმედი რეგულაციებით შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთა გამოვლენა და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ კეთდება. ამასთანავე, საერთაშორისო დაცვის ძიების ეტაპზე შესაძლებლობის შეზღუდვის გამოვლენის პროცესი არ არის სტრუქტურული შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპების მიხედვით. შესაბამისად, იგი არ ემსახურება თითოეული პირისთვის გონივრული მისადაგების მიზნით საჭირო ზომების თავიდანვე განსაზღვრის უზრუნველყოფას. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე შშმ პირებთან მომუშავე, როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სერვისების და დაწესებულებების ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

### *8.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია,<sup>118</sup> მონაწილე სახელმწიფოებისთვის შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით ძირითად

<sup>117</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 15 დეკემბრის №86-862134972 წერილი.

<sup>118</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/fl17iy> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

გარანტიებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს აწესებს. დოკუმენტი სპეციფიკურად ამახვილებს ყურადღებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეობის არჩევის თანაბარ უფლებაზე და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ შშმ პირთა უფლება მიიღონ ან შეიცვალონ მოქალაქეობა; დაიცვან შშმ პირები შეზღუდული შესაძლებლობის გამო, მოქალაქეობის ან პიროვნების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის მიღების, ფლობის, სარგებლობის, თავისუფალი გადაადგილების უფლების რეალიზებისათვის საჭირო სამემიგრაციო პროცედურებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევისაგან.<sup>119</sup>

შიდა საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს შშმ პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზებას და უზრუნველყოფას, და ამ დროს მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებისა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.<sup>120</sup> ამრიგად, ნებისმიერი უფლების რეალიზება, რომელიც თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვისაა განსაზღვრული, შშმ პირთა შემთხვევაში უნდა წარიმართოს ხსენებული კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ასახული ძირითადი პრინციპების და მიდგომების გათვალისწინებით.

საგულისხმოა, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში<sup>121</sup> მითითებული ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე, ასევე დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სამართლებრივი დაცვის გარანტიები შშმ პირებთან მიმართებით ცალკეულ საკითხებს ეხება. ამაში, მათ შორის, მოიაზრება მათთან სათანადო კომუნიკაციის დამყარებისა და მათი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფის ასპექტები, განათლების, ჯანდაცვის, სახელმწიფო პროგრამებისა და სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

კერძოდ, კანონით აღიარებულია, რომ შშმ პირებს, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებს, შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი და სპეციფიკური საჭიროებები.<sup>122</sup> შშმ პირთა სპეციფიკური საჭიროებების აღიარებისა და მათი უფლებების დისკრიმინაციის გარეშე დაცვის ვალდებულების დეკლარირების ფონზე, აუცილებელია კანონში გაწერილი იყოს ის გარანტიები, რომლებიც სხვადასხვა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირს

<sup>119</sup> იქვე, მუხლი 18 1(ბ).

<sup>120</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>121</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>122</sup> სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის ცნებას, სადაც არასრულწლოვან, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვან, ხანდაზმულ, ორსულ, მარტოხელა მშობელ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ პირებთან ერთად შშმ პირებს, სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების მქონე პირებს, პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირებს, წამების, გაუპატიურების, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ და სხვა ისეთ პირებს აერთიანებს, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ პროცედურულ გარანტიებს, რათა ისარგებლონ განსაზღვრული უფლებებით და შეასრულონ ამავე კანონით გათვალისწინებული მოვალეობები.

კანონით თანაბარ პირობებში სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს. ამ მიმართულებით კანონის მოთხოვნები შესაძლებლობის შეზღუდვის ყველა ასპექტს არ ფარავს. ეს განსაკუთრებით ეხება სხვადასხვა სახის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომის უზრუნველყოფის საკითხებს.

მაგალითად, საქართველოში, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის ეტაპზე, კანონით გათვალისწინებულია იმ ინფორმაციის „გასაგებ ენაზე“ თარგმნა, რომელიც თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის ხელმისაწვდომობას უკავშირდება. კანონში არაა მითითება ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფაზე სპეციფიკურად შშმ პირებისთვის. არ არის მითითება არც სურდო თარჯიმანსა და შესაძლებლობის სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომი კომუნიკაციის ალტერნატიულ მეთოდებზე. სურდო თარჯიმნის სერვისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვეცნობა,<sup>123</sup> რომ სურდო თარჯიმნის საჭიროების შემთხვევაში, უწყება უზრუნველყოფს ამ სერვისით მომსახურებას. მაგრამ უწყებას არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, სმენის სირთულის მქონე რამდენი თავშესაფრის მაძიებელია რეგისტრირებული ბაზაში, ან რამდენის პირის შემთხვევაში დადგა ასეთი საჭიროება. სურდო თარჯიმნით პირის უზრუნველყოფის საკითხი, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს. გარდა ამისა, მართალია, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით რეგულირდება სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის სპეციფიკა, თუმცა მოცემული დებულებები თავშესაფრის მაძიებელ შშმ პირთა ტრანსპორტირებას და განთავსებას, მათთვის მოთხოვნის წარდგენისთანავე დროებითი თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მინიჭებას და შემდგომ გარანტიებს ეხება,<sup>124</sup> და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა ხდება მოთხოვნის წარდგენამდე ინფორმაციაზე წვდომისათვის, მათ შორის, მოთხოვნის წარდგენის პროცესში შესაბამისი ტექნიკური თუ საკომუნიკაციო საშუალებებით მათი უზრუნველყოფისა და გონივრული მისადაგების ზომების გატარების შესახებ. ეს საკითხები არც „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებით არის რეგულირებული, სადაც ყურადღება მახვილდება არასრულწლოვნებთან, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან კომუნიკაციის ასპექტებზე, უსაფრთხოების ჭრილში და არაფერია ნათქვამი სხვადასხვა სახის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებთან (სენსორული, ფიზიკური, მენტალური) კომუნიკაციის ასპექტებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,<sup>125</sup> შშმ პირს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ კონსულტაციას უწევს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც ფლობს სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებთან, მათ შორის, შეზღუდული

<sup>123</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი MIA 4 21 02581965.

<sup>124</sup> კერძოდ, მოცემულია, რომ „თუ საერთაშორისო დაცვა მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილმა არასრულწლოვანმა ან იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, იგი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ოქმის შედგენის საფუძველზე დაუყოვნებლივ რეგისტრირდება თავშესაფრის მაძიებლად. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნის შემდეგ. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის ათვლა დაიწყება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის დღიდან“.

<sup>125</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი MIA 4 21 02581965.

შესაძლებლობის მქონე პირებთან, გასაუბრების წარმოების მეთოდებს და ამ პირთა მიერ აუცილებელი სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოთხოვნის მიუხედავად, არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენ პირთან კომუნიკაციის შემთხვევაში გახდა საჭირო ინფორმაციის მისაწვდომ ფორმატში მისაწოდებლად შესაბამისი ცვლილების განხორციელება, მათ შორის სურდო თარგმანის გამოყენება, რაც შშმ თავშესაფრის მაძიებელ პირთა ინფორმაციაზე წვდომის უფლების რეალიზების შეფასების პროცესს ართულებს.

რაც შეეხება შესაბამისად მომზადებულ კადრებს, შსს-ს ცნობით, თავშესაფრის პროცედურაში ჩართულ უფლებამოსილ მოსამსახურეებს გავლილი აქვთ თავშესაფრის მხარდაჭერის ევროპული ოფისის (EASO) სასწავლო მოდული „მოწყვლად თავშესაფრის მაძიებლებთან გასაუბრების ტექნიკა/მეთოდებსა და დაკავშირებით“, რომლის ფარგლებშიც განხილული თემატიკა, ასევე მოიცავდა ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის მქონე თავშესაფრის მაძიებლებთან გასაუბრების საკითხს. სპეციალური სწავლება/გადამზადება გავლილი აქვს და კვალიფიკაცია აიმაღლა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს 9 თანამშრომელმა, რომელთაგან, 5 თანამშრომელი უშუალოდ არის ჩართული თავშესაფრის მაძიებელთა სტატუსის დადგენის პროცედურაში.<sup>126</sup> თუმცა, რამდენად შეესაბამება გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა შშმ თავშესაფრის მაძიებელთა საჭიროებებს, ამის განსაზღვრა თავშესაფრის მაძიებელ შშმ პირთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკის არარსებობის გამო, შეუძლებელია.

ცხადია, რომ შშმ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა შესახებ სათანადო სტატისტიკის არარსებობა, არ იძლევა მათი უფლებების დაცვის მიმართულებით სრული სურათის შექმნის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველო აღრიცხავს და ამუშავებს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა პირად მონაცემებს, ეს მონაცემები შშმ ნიშნით არ გამოიყოფა.<sup>127</sup> შსს-ს ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თავშესაფრის მაძიებელთა გამოვლენისა და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვის შესაძლებლობას.<sup>128</sup> გასათვალისწინებელია, რომ ეს მონაცემები არ აღირიცხება. ამასთანავე, ბრძანების ანკეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სპეციფიკური საჭიროება აქ დაკავშირებულია სამედიცინო საჭიროებასთან<sup>129</sup> და იდენტიფიკაციის პროცესი დაყოფილი არ არის შესაძლებლობის შეზღუდვის ტიპების მიხედვით. შესაბამისად, იგი არ ემსახურება თითოეული პირისთვის გონივრული მისადაგებისთვის საჭირო ზომების თავიდანვე განსაზღვრას. თუმცა გამოვლენის შემთხვევაში, პირი, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პრიორიტეტულად განთავსდება

<sup>126</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი MIA 4 21 02581965.

<sup>127</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი MIA 4 21 02581965.

<sup>128</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 30 სექტემბრის წერილი MIA 4 21 02581965.

<sup>129</sup> „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანების მე-9 დანართის, 42-ე პუნქტი, ანკეტის ველი: ჯანმრთელობის მდგომარეობა/სპეციფიკური საჭიროება.

საცხოვრებელში, მას ასევე შეუძლია ისარგებლოს პრიორიტეტით განცხადების წარდგენის ეტაპზე.<sup>130</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას ასევე არ ანალიზებენ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. პრობლემურია თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ მოსწავლეთა აღრიცხვაც განათლების სამინისტროს მხრიდან, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას.

### *8.2. სათანადო საცხოვრისის უფლება*

ცნობილია, რომ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა დიდი ნაწილი მარტყოფში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ცხოვრობს.<sup>131</sup> სიტუაციის ადგილზე შესაფასებლად, სახალხო დამცველის აპარატმა მოინახულა ეს ცენტრი.<sup>132</sup>

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულების ფიზიკური გარემო ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. კერძოდ, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, რომლით სარგებლობაც დაუბრკოლებლად შეუძლიათ ეტლით მოსარგებლე პირებს. გარდა ამისა, შესაბამისი საბაზისით ადაპტირებულია 2 სველი წერტილი.

მონიტორინგის ვიზიტის დროს მოწოდებული ინფორმაციით,<sup>133</sup> ცენტრში, ბოლო 1 წლის განმავლობაში, არ ირიცხებოდა არცერთი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირი. თუმცა პარტნიორ ორგანიზაციასთან, World vision-თან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა,<sup>134</sup> რომ ორგანიზაცია სტატუსის განსაზღვრაში დაეხმარა მარტყოფის თავშესაფრის ბენეფიციარ 3 პირს (1 ბავშვი - 2 ზრდასრული ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვით), რის შესახებაც დაწესებულების ადმინისტრაცია ინფორმაციას არ ფლობდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს უწყებებში მონაცემების დამუშავების და სტატისტიკის წარმოების პრობლემურობას.

### *8.3. განათლების უფლება*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლიდან დღემდე ახორციელებს „თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შინაგან საქმეთა

<sup>130</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 25 (2) მუხლი და „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანების მე-18 მუხლი.

<sup>131</sup> მიმღები ცენტრი საერთო ჯამში 132 ადამიანზეა გათვლილი.

<sup>132</sup> მონიტორინგი ჩატარდა 2021 წლის 22 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა და გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენლების შემადგენლობით.

<sup>133</sup> ცენტრის უფროსისა და სოციალური მუშაკის ცნობით.

<sup>134</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა World Vision-თან, 2021 წლის 28 ოქტომბერი.

სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამას.<sup>135</sup> თავშესაფრის მაძიებელ შშმ მოსწავლეთა განათლების უფლების რეალიზების შესაფასებლად, სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგის ვიზიტით ეწვია ქვეპროგრამის მონაწილე ყველა საჯარო სკოლას.<sup>136</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მცხოვრები ბავშვები გარდაბნის №2 საჯარო სკოლაში (სოფელი მარტყოფი) დადიან. სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ თავშესაფრის ცენტრიდან ჰყავთ მხოლოდ ერთი სსსმ მოსწავლე, რომელსაც შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დაწესებულებას აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი საშუალებებით. სველი წერტილი სრულად ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული სისტემური პრობლემები შშმ მიგრანტი მოსწავლეების განათლების ხარისხზეც უარყოფითად აისახება. მაგალითად, თბილისის №23-ე სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი არ არის შშმ მოსწავლეებისთვის, სკოლას არ აქვს ლიფტი, არც პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი. მოსწავლეს, რომელსაც შეზღუდული აქვს გადაადგილება, მხოლოდ პირველი სართულით შეუძლია სარგებლობა. რაც შეეხება ქცევის სირთულეებს, რიგ შემთხვევებში, თავს იჩენს, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე/მაძიებელი პირების მიმღე გამოცდილებიდან გამომდინარე. სკოლის დირექტორის ცნობით, ერთი მოსწავლე მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადაამისამართეს. ზოგადად, პრობლემა ინკლუზიური განათლების კუთხით კადრების სიმცირე<sup>137</sup> და კვალიფიკაცია.<sup>138</sup>

შეფასებას ართულებს ისიც, რომ ცალკე შშმ სტატუსის მქონე თავშესაფრის მაძიებელ ან/და შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეთა სტატისტიკა არ იწარმოება.<sup>139</sup> ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები სეგრეგირებულია მხოლოდ ასაკის და სქესის მიხედვით, საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ან/და შესაბამისი სტატუსის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ან სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, ინფორმაცია დამატებით დამუშავებას საჭიროებს. ამგვარი მიდგომა ართულებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ამ კატეგორიის უფლებრივი მდგომარეობისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლისა და დაკმაყოფილების შეფასებას.

<sup>135</sup> საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი MES 6 21 0001061686.

<sup>136</sup> ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები ირიცხებიან სსიპ ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლაში, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №23 საჯარო სკოლაში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლაში.

<sup>137</sup> ზოგადად, ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ერთ მოსწავლეს აქვს სმენის პრობლემა და ესაჭიროება შესტური ენის სპეციალისტი, სკოლას არც ფსიქოლოგი ჰყავს. სკოლას ასევე ჰყავს 3 სსსმ მოსწავლის ასისტენტი და ესაჭიროება დამატებით 5 ასისტენტი.

<sup>138</sup> მასწავლებლებმა ინკლუზიური განათლების საკითხებში გადამზადება შარშან გაიარეს, თუმცა გამოწვევად რჩება აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების არქონა.

<sup>139</sup> საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი MES 6 21 0001061686.



#### 8.4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე შშმ პირთა ინტეგრაციის პროცესის შესაფასებლად საქირთა ქვეყანაში მოქმედ სხვადასხვა სოციალურ, დასაქმების თუ საგანმანათლებლო პროგრამაში შშმ პირთა ჩართვის გაანალიზება. ამ მიმართულებით სიტუაციის შეფასებას ასევე ართულებს შესაბამისი სტატისტიკის არარსებობა. ადგილზე ვიზიტების თუ ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილი მიგნებები კი არაერთ პრობლემაზე მიუთითებს.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო<sup>140</sup> 2020 წლის 18 ივლისიდან ახორციელებს საქართველოში მცხოვრებ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა, თავშესაფრის მაძიებელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამას.<sup>141</sup> სააგენტოს ცნობით, მისაღები ცენტრი ადაპტირებულია შშმ პირებზე. ინფორმაციის მიღების ან სერვისით სარგებლობისას რაიმე დაბრკოლების შემთხვევაში, ბენეფიციარს ინფორმაცია/სერვისი მისთვის მისაღები ფორმით მიეწოდება. თუმცა სააგენტო, მიუხედავად მოთხოვნილი ინფორმაციისა, არ აკეთებს აქცენტს იმაზე, თუ რა ზომებს მიმართავს კონკრეტული პროგრამების სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასევე, სააგენტო არ ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას შესაბამის კომპონენტებში ჩართულ შშმ პირებზე, რაც აფერხებს სრული სურათის დანახვის შესაძლებლობას.

მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებებში ჩართვა. თუმცა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო არ აღრიცხავს/ამუშავებს მსგავსი ტიპის ინფორმაციას/სტატისტიკას.<sup>142</sup> ეს ართულებს შშმ პირთა შესახებ ინფორმაციის ანალიზს და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ კვლევას.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შეხვედრიდან იკვეთება, რომ ზრუნვის უწყება ძირითადად თავშესაფრის მაძიებლების, მათ შორის შშმ პირების, შესაბამის საცხოვრისში განთავსებით შემოიფარგლება.<sup>143</sup> სააგენტოს წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას მხარდაჭერის დანიშვნის პროცედურის თაობაზე, თუმცა ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც მხარდაჭერის დანიშვნის მიზნით

<sup>140</sup> სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2021 წლის 17 ივნისის წერილი №03/10234.

<sup>141</sup> პროგრამა გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის“ განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმით.

<sup>142</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 1 ოქტომბრის წერილი №07/8554.

<sup>143</sup> 2021 წლის 13 ოქტომბერი - ონლაინ შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან.

სასამართლო წარმომადგენლობა განახორციელეს. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის და რეგიონული ცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირების ფსიქოსოციალური საჭიროებიდან მომდინარე მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეები არ უწარმოებიათ.<sup>144</sup>

თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ პირთა სოციალური დაცვის მიმართულებით უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად შშმ პირის სტატუსის დადგენის ერთეული შემთხვევებისა, ეს პირები უზრუნველყოფილები არ არიან შესაბამისი სოციალური პაკეტით.<sup>145</sup> შესაბამისად, მათი შესაძლებლობის შეზღუდვიდან მომდინარე საჭიროებები სახელმწიფოს მხრიდან უპასუხოდ რჩება.

გამოწვევებია თავშესაფრის მაძიებელთა დასაქმების კუთხითაც. ორგანიზაცია World vision-თან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგად გაირკვა, რომ მხოლოდ 1 შშმ პირს დაეხმარნენ დასაქმებაში.<sup>146</sup>

### 8.5. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ პირები გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფარში მოხვედრის შემდეგ, ორგანიზაცია World Vision-ის სოციალური მუშაკი აფასებს ბენეფიციართა ჯანმრთელობის საჭიროებებს და ამზადებს შესაბამის რეფერალს, პრობლემად იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობა, რადგან ფსიქიატრის და ფსიქოლოგის კონსულტაცია ფასიანია. პრობლემურია იმ მომსახურებების მიღებაც, რომელთაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ ფარავს.<sup>147</sup> სახელმწიფო რეაგირებს მხოლოდ გამწვავებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე, როდესაც სახეზეა სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის კრიტერიუმები, მაგრამ დროული გამოვლენა და პრევენცია, პრობლემაა.<sup>148</sup>

## 9. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობა

<sup>144</sup> სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი №07/349 – 20.01.2022.

<sup>145</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა World Vision-თან, 2011 წლის 28 ოქტომბერი.

<sup>146</sup> ამპუტირებული კიდურის მქონე პირი დასაქმდა ბენზინგასამართ სადგურზე.

<sup>147</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა World Vision-თან, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ასევე ფოკუს ჯგუფის შეხვედრა მიგრანტ ქალებთან, 2021 წლის 17 დეკემბერი.

<sup>148</sup> ფოკუს ჯგუფის შეხვედრა მიგრანტ ქალებთან, 2021 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს სახალხო დამცველი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად საუბრობს თავშესაფრის მამიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე, რაც გამოწვეულია მათი განსაკუთრებული საჭიროებებით.<sup>149</sup> არაერთი ეროვნული<sup>150</sup> თუ საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის, გაეროს მდგრადი განვითარების მექანიზმი მოუწოდებს ქვეყნებს ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობებისკენ. მათ შორის გაეროს კონვენციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ზოგადი რეკომენდაციის №32 მიზანი, მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, პატივი სცენ და დაიცვან თავშესაფრის მამიებელი ქალების უფლებები და არ დაუშვან დისკრიმინაცია.<sup>151</sup> კონვენციის დებულებები აძლიერებს და ავრცობს საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის რეჟიმს ლტოლვილი და მოქალაქეობის არმქონე ქალებისა და გოგოებისათვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში,<sup>152</sup> არ არის უშუალოდ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული დებულებები.<sup>153</sup>

მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობისა,<sup>154</sup> რომლის მიზანია თავშესაფრის მამიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შექმნა, თავშესაფრის მამიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. თავშესაფრის მამიებელი ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათი მთავარი გამოწვევებია საზოგადოებაში ინტეგრაცია, ენობრივი ბარიერი, ჯანდაცვის თუ სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების სერვისებზე წვდომა.<sup>155</sup>

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ქალების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, რომლებიც ქვეყანაში მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მხარდამჭერთა წრის, ან ოჯახის სხვა წევრების გარეშე იმყოფებიან, ვინაიდან მათ, შესაძლოა, დამატებით განსხვავებული გამოწვევები და საჭიროებები ჰქონდეთ.

## 9. 1. წვდომა განათლებაზე და დასაქმების ხელშეწყობა

<sup>149</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/0avf7q>> [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>150</sup> „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>151</sup> გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატიური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, თბილისი, 2018, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/qj7h3v>> [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>152</sup> ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და მისი 1967 წლის ოქმი, მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენცია და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენცია.

<sup>153</sup> გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატიური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, თბილისი, 2018, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/qj7h3v>> [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

<sup>154</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>155</sup> შეხვედრა თავშესაფრის მამიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარებთან, 2021 წლის 22 ოქტომბერი. შეხვედრა თავშესაფრის მამიებელ და საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე (ირანელ) ქალებთან, 2021 წლის 17 დეკემბერი.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, თუმცა ამ მიმართულებით საქართველოში საკმაოდ ბევრი პრობლემა იკვეთება. სიღარიბისა და უმუშევრობის მასშტაბები კი, ქალებს ორმაგად მოწყვლად მდგომარეობაში ამყოფებს.

თავშესაფრის მამიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ეკონომიკური გაძლიერების გზაზე, ქალები, შესაძლოა, მეტად მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან განსაკუთრებული საჭიროებები გააჩნიათ. ეს შეიძლება იყოს მასპინძელი სახელმწიფოს ენის არცოდნა, განათლებაზე ხელმიუწვდომლობა, საჯარო სამსახურში დასაქმების შეზღუდვა და სხვ.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაციის პროგრამების მიუხედავად,<sup>156</sup> თავშესაფრის მამიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარი ქალების ინფორმაციით, მათ არ მიუწვდებათ ხელი არც ქართული ენის შემსწავლელ, არც სხვა პროფესიულ კურსებზე. დასახელებული მიზეზებიდან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალთა პროფესიულ გადამზადებაზე ორიენტირებული პროგრამები მოკლევადიანი და არასრულია, შესაბამისად, ქალები ვერ იღებენ სათანადო ცოდნას, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს მათ დასაქმებას. ამასთანავე, ქართული ენის შემსწავლელი კურსი ბოლო წლების განმავლობაში ფაქტობრივად არ ჩატარებულა. თავშესაფრის მამიებელთა მიმღები ცენტრის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან იგეგმება შეთანხმება სრულწლოვანებისთვის ენის კურსების მიწოდების თაობაზე, თუმცა ეს პროცესი უკვე რამდენიმე წელს ითვლის. ბენეფიციართა თქმით, ასეთი პროგრამის დანერგვის შემთხვევაშიც, მასზე დასწრება პრობლემური იქნება იმ ქალებისთვის, რომლებიც დღის განმავლობაში დასაქმებულები არიან, რაც ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ენის შემსწავლელი კურსები არ არის მოქნილი და მორგებული მათ საჭიროებებზე. პრობლემას წარმოადგენს საგანმანათლებლო კურსებზე რეგისტრაცია, ვინაიდან რეგისტრაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა, შესაბამისად, ქართული ენის არცოდნის გამო მოკლებულები არიან კურსებით სარგებლობის შესაძლებლობას.

განათლებაზე წვდომის გარდა, განსაკუთრებით პრობლემურია თავშესაფრის მამიებელთა დასაქმება, რაც პირდაპირ აისახება მათ შემდგომ ეკონომიკურ გაძლიერებაზე. თავშესაფრის მამიებელთა მიმღებ ცენტრში ვიზიტისას თვალსაჩინო გახდა<sup>157</sup> დაწესებულებაში მცხოვრები ქალების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ბენეფიციარების ინფორმაციით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი UNHCR ფინანსურ დახმარებას გასცემს მხოლოდ 6 თვის განმავლობაში, შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა თანხის სიმცირესა და მიწოდების სირთულეებზე.<sup>158</sup>

<sup>156</sup> ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე დარეგისტრირებული 75 ბენეფიციარიდან 34 ქალია.

<sup>157</sup> ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 22 ოქტომბერს.

<sup>158</sup> მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თანხა თვიურად 175 ლარს შეადგენს და მოთხოვნიდან 2 თვის დაგვიანებით მიეწოდება.

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ადმინისტრაციისა და ბენეფიციართა ინფორმაციით,<sup>159</sup> დაწესებულებაში განთავსებისას მათ მიეწოდებათ მინიმალური პირველადი საჭიროების საკვები და ჰიგიენის ნივთები, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ბავშვის კვება, ქალებისთვის საჭირო ჰიგიენის საშუალებები, მათ შორის, ბავშვის პამპერსი, ტანსაცმელი, მედიკამენტები და სხვ., რაც დამატებით ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული.

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მცხოვრები ბენეფიციარების მსგავსი პრობლემები აქვთ იმ ქალებს, რომლებიც თავიანთი სახსრებით ახერხებენ ბინის დაქირავებას.<sup>160</sup> მძაფრად დგას უმუშევრობის პრობლემა, ძირითადად საქმდებიან დასუფთავების სამსახურში, სადაც ანაზღაურება მინიმალურია და მათ პირველად საჭიროებებს ვერ ფარავს.

განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგანან თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალები, რომლებიც საქართველოში მეუღლის/პარტნიორის გარეშე იმყოფებოდნენ და თავს მარტოხელა დედებად წარადგენდნენ, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ მარტოხელა მშობლის სტატუსი.<sup>161</sup>

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათი ძირითადი გამოწვევა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. მათ ყოველდღიურად უწევთ ემოციურ სირთულეებთან გამკლავება, რადგან არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ბავშვების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება. ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ბაღებისა და სკოლების დისტანციურ რეჟიმში გადასვლამ, დასაქმების კუთხით დამატებითი ბარიერები წარმოქმნა. მათ ასევე არ მიუწვდებათ ხელი გადამზადების ან კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე.

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მცხოვრები ბენეფიციარების თქმით, გარდა იმისა, რომ არ არსებობს მათთვის სამუშაო ადგილები, კერძოდ, მარტოხელა დედის საჭიროებებზე მორგებული დასაქმების შესაძლებლობა, პრობლემას წარმოადგენს შვილების დატოვების საკითხი. დაწესებულებაში არ არის ძიძის კადრი, რაც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. პრობლემის მიუხედავად, დაწესებულების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვერ ხედავენ კადრის დამატების საჭიროებას.

მართალია, ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები UNHCR და World Vision, და უწევენ მათ სხვადასხვა სახის

<sup>159</sup> მარტყოფში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 22 ოქტომბერს.

<sup>160</sup> შეხვედრა 2021 წლის 17 დეკემბერს. შეხვედრას დაესწრო 7 ქალი ირანიდან.

<sup>161</sup> სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის 2021 წლის 11 ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არცერთ პირს არ დადგენია მარტოხელა მშობლის სტატუსი 2020-2021 წლებში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის 12 ოქტომბრის წერილი №13433.

დახმარებას,<sup>162</sup> მხარდაჭერის სერვისები არასაკმარისია და სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს მეტ ყურადღებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

## 9.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის, არაერთი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილება განხორციელდა, თუმცა ამის მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თავიდან არიდება და სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი რეაგირება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მნიშვნელოვანი იყო ეკვლია საქართველოში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე ქალების უფლებრივი მდგომარეობა, რადგან კოვიდ პანდემიის პირობებში,<sup>163</sup> ენობრივი ბარიერისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის არქონის გამო, ისინი, შესაძლოა, მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. სახალხო დამცველის აპარატის მიმართ ნდობის მიუხედავად,<sup>164</sup> მათთვის რთული იყო საუბარი ძალადობის, განსაკუთრებით კი, ოჯახში ძალადობის თემაზე. ეს, შესაძლოა, კულტურულ-ტრადიციული ფაქტორითა და თემში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებებით იყოს გამოწვეული, აგრეთვე, ძალადობის ფორმების, გამოვლინებებისა და რისკების შესახებ ცნობიერების დაბალი დონით. მათ შორის, სამართალდამცავი უწყების მიმართ უნდობლობითა და ძალადობის მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების არსებულ პროგრამებზე ინფორმაციის ნაკლებობით.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ იცოდნენ, თუ ვისთვის უნდა მიემართათ ძალადობის შემთხვევაში,<sup>165</sup> თუმცა ცალსახად აღინიშნა, რომ ვერ ჩაერეოდნენ „ოჯახის საქმეში“ და მათი ტრადიციებიდან გამომდინარე, ქალი ვერ გაბედავდა ხმამაღლა ესაუბრა მის მიმართ ჩადენილ ძალადობაზე. შეხვედრამ ასევე თვალსაჩინო გახადა ინფორმაციის ნაკლებობა თავშესაფრების შესახებ და ძალადობის მსხვერპლთათვის არსებულ ისეთ სერვისებზე, როგორც არის უფასო იურისტის და ფსიქოლოგის სერვისი. ინფორმაციის არარსებობა კი, მათ უზღუდავს ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევის და მათთვის შესაძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ (მე-10 მუხლი)<sup>166</sup> ადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობას, რომელიც ცალსახად ვრცელდება

<sup>162</sup> ფინანსური დახმარება, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, გადამზადების პროგრამები.

<sup>163</sup> ქვეყანაში ამოქმედებული კოვიდ რეგულაციების დროს შეიზღუდა ტრანსპორტით გადაადგილება.

<sup>164</sup> რაც გამოიხატებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე გულწრფელ საუბრებში.

<sup>165</sup> დასახელდა მხოლოდ პოლიცია.

<sup>166</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

თავშესაფრის მაძიებელსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებზე, ქალებმა ისაუბრეს დისკრიმინაციულ მიდგომებზე, როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მხრიდან.

თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე ქალებთან შეხვედრებმა ნათელი გახადა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე საინფორმაციო კამპანიების ჩატარების აუცილებლობა, ერთი მხრივ, მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და, მეორე მხრივ, ქვეყანაში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ასევე არ არსებობს მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული ქალების, მათ შორის, თავშესაფრების მაძიებელთა ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევების ცალკე სტატისტიკური მონაცემები. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია პრობლემის მასშტაბურობის დანახვა და ხარვეზების გამოვლენა. ასევე უცნობია, თავშესაფრის მაძიებელმა და საერთაშორისო დაცვის მქონე რამდენმა ქალმა ისარგებლა ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისებით.

### 9.3. *სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა*

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც არის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ზრუნვის სერვისებზე წვდომა, სექსუალური გზით გადამდები დაავადებების თავიდან არიდება, კონტრაცეპტივებზე წვდომა და სხვ. როდესაც ვსაუბრობთ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ვეხებით არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ადამიანის უფლებების საკითხებს.<sup>167</sup>

ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტით არის აღიარებული და თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ინფორმაცია და წვდომა ქვეყანაში არსებულ უსაფრთხო და ეფექტიან ჯანდაცვის თანამედროვე სერვისებზე.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე იკვლია თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალების მდგომარეობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების მიმართულებით, ასევე, რამდენად ითვალისწინებს საქართველოს ჯანდაცვის პროგრამები და სერვისები მათ სპეციფიკურ საჭიროებებს.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები ჩართულები არიან ქვეყანაში არსებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, მათ მხოლოდ ექიმის პირველადი კონსულტაციის მიღება შეუძლიათ,

<sup>167</sup> კაიროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია (ICPD) ადგენს მკაფიო კავშირს რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებას შორის - International Conference on Population and Development (ICPD), 05.09.1994, ხელმისაწვდომია: <<https://rb.gy/3m2sm9> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

ვინაიდან სპეციალისტთან ვიზიტი და შემდგომი მკურნალობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რისი ფინანსური შესაძლებლობაც, მათ არ გააჩნიათ.<sup>168</sup>

სპეციალისტთან წვდომის გარდა, იკვეთება მედიკამენტების შეძენის პრობლემა. ორგანიზაცია World Vision-ის დახმარების მიუხედავად, რაც გულისხმობს ნაყიდი მედიკამენტების ქვითრის წარდგენისას თანხის უკან დაბრუნებას, იკვეთება თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის შემთხვევები.<sup>169</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამედიცინო მომსახურების მიღებაში ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა დოკუმენტების მიუღებლობაც, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან გაიცემა.<sup>170</sup>

საკმაოდ პრობლემურია ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა ქალებისთვის, რომლებიც მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ცხოვრობენ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებაში მცხოვრები ქალების უმრავლესობა უმუშევარია, მათთვის არა მხოლოდ ექიმთან ვიზიტი და მკურნალობა, არამედ გადაადგილებაც კი შეუძლებელია. ორგანიზაცია World Vision-ის წარმომადგენლების თქმით, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს, ექიმთან წინასწარ დაგეგმილი ვიზიტებისთვის ტრანსპორტირებით ეხმარებიან, თუმცა ჩატარებული შეხვედრების შედეგად, ეს არ დადასტურებულა.<sup>171</sup>

საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, ამ ჯგუფის წარმომადგენელი ქალების მიერ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ბარიერებისა და მათ მიერ ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ, ინფორმაცია გამოითხოვა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროში შესულია თავშესაფრის მაძიებლის ერთეული განცხადება, რომელიც ეხებოდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის პრობლემას. საკითხის მოკვლევის შედეგად დადგინდა პროცედურასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერი, რომელიც დროულად მოგვარდა.<sup>172</sup> ამასთანავე, მიღებული ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტრო სხვადასხვა უწყებასთან, მათ შორის UNHCR ოფისთან ერთად, მუდმივად მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის, საჭიროების გამოვლენისა და მათთვის არსებული ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

თუმცა თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში მოგვეწოდა საპირისპირო ინფორმაცია. დაწესებულებაში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრისას ყველამ აღნიშნა გინეკოლოგის

<sup>168</sup> შეხვედრა ირანელ ქალებთან. 2021 წლის 17 დეკემბერი.

<sup>169</sup> შეხვედრა ირანელ ქალებთან, 2021 წლის 17 დეკემბერი. მოწოდებული ინფორმაციით, შეძენილი მედიკამენტების ქვითრის წარდგენის შემდეგ თანხა არ დაუბრუნებიათ იმ მიზეზით, რომ რადგან შეძლო ძვირადღირებული მედიკამენტების ყიდვა, ესე იგი ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

<sup>170</sup> განსაკუთრებით უარყოფითად შეფასდა რუსთაველი მდებარე კლინიკა, რომელიც არ ემსახურება თავშესაფრის მაძიებლებსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს.

<sup>171</sup> შეხვედრა მარტყოფში მდებარე თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციარ ქალებთან, 2021 წლის 22 ოქტომბერი.

<sup>172</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 20 ოქტომბრის წერილი №01/16193.



საჭიროება, რომელიც მათთვის წლების განმავლობაში მიუწვდომელია.<sup>173</sup> მათი თქმით, ამის თაობაზე არაერთხელ უსაუბრიათ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ სურდათ, ადგილზე ყოფილიყო შესაძლებელი გინეკოლოგთან კონსულტაცია, თუმცა, მათი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა. ჯანდაცვის სერვისებით მოსარგებლე ქალების მწირი რაოდენობა ცალსახად ადასტურებს არსებული პროგრამებით სარგებლობის პრობლემებს.<sup>174</sup>

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში ბენეფიციარებს ასევე არ აქვთ წვდომა კონტრაცეპტივებზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა სტერეოტიპული და დამამცირებელი მიდგომებიც. ქალების თქმით, როგორც დაწესებულების თანამშრომლები, ისე ბენეფიციარებიც, სტერეოტიპულ მიდგომას ავლენენ კონტრაცეპტივების საჭიროებასთან დაკავშირებით.<sup>175</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაცეფციის საშუალებებზე წვდომის ბარიერები საფრთხის შემცველია ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვისთვის.

თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებებში სრულყოფილი ინფორმაცია და სათანადო სერვისების მიღებას ასევე უშლის ხელს ენობრივი ბარიერი. ხშირად იკვეთება თარჯიმნის საჭიროება, რაც ქალებისთვის მიუწვდომელია. ამასთანავე, სამედიცინო პერსონალის დამამცირებელი, ქსენოფობიური დამოკიდებულება ლახავს მათ ღირსებას და აფერხებს მათ წვდომას შესაბამის სამედიცინო სერვისებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე გამოიკვლია საგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობა, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე მოზარდებს, რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა, სკოლიდან მიეღოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ადამიანის რეპროდუქციისა და სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების სრული სახით ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება. აღნიშნული კომპონენტი მხოლოდ ზედაპირულად არის სასკოლო განათლების ნაწილი და ის ვერ უზრუნველყოფს მოზარდების სათანადო ინფორმირებას, რაც ასევე დაადასტურეს №23-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც.<sup>176</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს მარტყოფის №2 საჯარო სკოლის პედაგოგების საპირისპირო მოსაზრებაც. მოწოდებული ინფორმაციით, მათთვის მიუღებელი და დაუშვებელია სკოლაში ისწავლებოდეს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. დამკვიდრებული ნეგატიური შეხედულებები და განწყობები ხელს უშლის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხების ინტეგრირებას, და იწვევს მოზარდების დაბალ ცნობიერებას ამ მიმართულებით, რაც, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ჰუმბერტატულ ასაკში მყოფი გოგონების

<sup>173</sup> შეხვედრას ესწრებოდა 7 ქალი. 2021 წლის 22 ოქტომბერი.

<sup>174</sup> 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლე, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთაგან, ქალთა რაოდენობამ შეადგინა 13, ხოლო 2021 წელს - 5.

<sup>175</sup> მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კონტრაცეპტივის გამოყენება აღიქმება „ცუდ ტონად“. ვერც კი გაბედავენ და გააჟღერებენ ხმამაღლა კონტრაცეპტივის საჭიროებას.

<sup>176</sup> შეხვედრა №23 საჯარო სკოლის ადმინისტრაციასთან. 2021 წლის 18 ოქტომბერი.

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის უარყოფით გავლენას გოგობის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, არაერთი კვლევა ადასტურებს. სექსუალობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმა, წარმოშობს ტაბუს მენსტრუაციაზე, რაც გოგობში სირცხვილის განცდას იწვევს, და აუარესებს მათ როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ ჯანმრთელობას.<sup>177</sup>

## 10. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

### 10.1. არასრულწლოვანებთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა

საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვანები, მათი საჭიროებების, სპეციფიკისა და მოწყვლადობის გათვალისწინებით, დაცვისა და მხარდაჭერის ეფექტიან, სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილ მექანიზმებს საჭიროებენ, რომლებიც დროულად, ბავშვზე მორგებული მიდგომითა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოახდენს შემთხვევაზე რეაგირებას. ეს მნიშვნელოვანია, რათა საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელ არასრულწლოვანებს, პროცესი, რომელიც სტრესთანაა დაკავშირებული და ემოციურობით ხასიათდება, შედარებით შეუმსუბუქდეთ. ამასთანავე, აუცილებელია, სახელმწიფომ, რომელშიც თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანი იმყოფება, დროული, ეფექტიანი და კოორდინირებული მოქმედებით უზრუნველყოს ბავშვის წვდომა ყველა იმ საბაზო საჭიროებაზე, რომელიც აუცილებელია მისი სრულფასოვანი განვითარებისთვის.

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის 22-ე მუხლი ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის მქონე და სტატუსის მაძიებელი ბავშვის დაცვა, დახმარება და, როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციით, ისე ადამიანის უფლებების შესახებ სხვა სამართლებრივი აქტებით გარანტირებული უფლებების რეალიზება. ამავე მუხლით გარანტირებულია ბავშვის უფლება ოჯახის გაერთიანებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ყველა სათანადო ღონისძიების გატარებას თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნის ოჯახის მოსამძებნად და მასთან გაერთიანების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, აუცილებელია, ბავშვს, რომელიც მოწყვეტილია ოჯახის წევრებს, ხელი მიუწვდებოდეს ბავშვზე ზრუნვის იმ გარანტიებზე, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მსგავსი საჭიროების არასრულწლოვანებისთვის არის გათვალისწინებული.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილი ვალდებულება, არასრულწლოვანთან მიმართებით თითოეული გადაწყვეტილება მიიღებოდეს ბავშვის

<sup>177</sup> კვლევა „მენსტრუაციის სტიგმისა და მასთან დაკავშირებული უფლებადარღვევების კვლევა საქართველოს საჯარო სკოლებში“, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/0bykur> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022].

საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ასევე ვრცელდება არასრულწლოვნისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების, ოჯახის გაერთიანებისა და ზრუნვის საკითხებზე. ხოლო გაერთიანებული ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის №14 ზოგადი კომენტარის თანახმად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვრებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში კი, მხედველობაში უნდა მიიღებოდეს კონკრეტული არასრულწლოვნის თავისებურებები, მისი მდგომარეობა და საჭიროებები. ამასთანავე, მიღებული გადაწყვეტილება, თავის მხრივ, კონვენციით გარანტირებულ ბავშვის უფლებებსა და თავისუფლებებს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>178</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ადგენს ვალდებულებას, არასრულწლოვანთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას მისი საუკეთესო ინტერესები, და ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოჯახის ერთიანობის პრინციპს, არასრულწლოვნის კეთილდღეობას, სოციალურ განვითარებას, უსაფრთხოებას და არასრულწლოვნის მოსაზრებას.<sup>179</sup> ამავე კანონით, თანმხლები პირის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი უნდა განსახლდეს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ინფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნას. ასეთივე ვალდებულება აქვს სახელმწიფოს დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიმართ. თანმიმდევრულად უნდა მოხდეს არასრულწლოვნის ოჯახის წევრების მოძიება, ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში.<sup>180</sup> იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი თანმხლები პირის გარეშეა დარჩენილი, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეტანაზე პასუხისმგებელია მისი მეურვე/მზრუნველი პირი.

ამასთანავე, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანთან მომუშავე პირებს ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და იყენებდნენ ბავშვზე მორგებულ მიდგომას. ამ პროცესს უნდა ესწრებოდეს სპეციალისტი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის მხარდაჭერასა და მისი ინტერესების დაცვაზე. ამის საფუძველზე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ვალდებულებას, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ ბავშვებთან გასაუბრება წარიმართოს მხოლოდ მისი დანიშნული წარმომადგენლის თანდასწრებით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი იმყოფება პენიტენციურ ან სხვა საპატიმრო დაწესებულებაში, მასთან გასაუბრება შესაძლებელია მხოლოდ მისი ადვოკატის თანდასწრებით. ბავშვთან გასაუბრების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საჭირო უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტს.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვნის ყველა იმ უფლებაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით. ასევე საგულისხმოა, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“

<sup>178</sup> General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, 2013, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/eik51a> > [ბოლოს ნანახია 15.02.2022], პარა. 32.

<sup>179</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.

<sup>180</sup> იქვე, მუხლი 25.

საქართველოს კანონის შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის და დროებითი დაცვის მქონე თანმხლებ პირთან ერთად მყოფ ან მის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს ხელი უნდა მიუწვდებოდეს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის იმ სერვისებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქისთვის. კონკრეტულად საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის, განათლებაზე წვდომისა და სოციალურ თუ მხარდამჭერ სერვისებში ჩართვის საკითხს მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ.

## *10.2 არასრულწლოვნის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების სერვისებზე*

### *განათლების უფლება*

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მყოფი არასრულწლოვნის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, რაც გულისხმობს უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას, ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღების წახალისებას, ხელშეწყობასა და ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რომელიც აუცილებელია სკოლის მიტოვების მაჩვენებლის შესამცირებლად. როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვის უფლებათა კონვენცია წევრ სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას, უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნების წვდომა ყველა იმ უფლებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებით, მათ შორის, განათლების უფლებაზე.<sup>181</sup>

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით<sup>182</sup> განმტკიცებულია საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნების უფლება, ისარგებლონ სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების უფლებით. ამავე კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ევალება, ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისათვის, რათა ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაცვის მქონე და

<sup>181</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1990, მუხლი 27.

<sup>182</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 56, 58, 61, 75.

თავშესაფრის მაძიებელი პირების, მათ შორის, არასრულწლოვნების ადგილობრივ ინტეგრაციას.

### ზოგადი განათლება

საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნების განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატს კომუნიკაცია ჰქონდა, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრსა და თავად იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექციასა და მასწავლებლებთან, სადაც ირიცხებიან არასრულწლოვნები. ამასთანავე, კვლევის ფარგლებში, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებსა და თავშესაფრის მაძიებლებთან ჩატარდა ინტერვიუები მათი არასრულწლოვანი შვილების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით,<sup>183</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლიდან ახორციელებს „თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამას, რომელიც საქართველოში თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე 6-დან 18 წლამდე ასაკის პირებისა და შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოხვედრილი არასრულწლოვნების ზოგადი განათლების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთწლიან კურსზე ბენეფიციარები წელიწადში ორჯერ (სექტემბერი, იანვარი), შსს მიგრაციის დეპარტამენტიდან მოწოდებული სიის თანახმად ირიცხებიან სამ საჯარო სკოლაში.<sup>184</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ქვეპროგრამაში ჩართულია სულ 25 არასრულწლოვანი.<sup>185</sup> საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, 2020 წლის მარტიდან, ქვეპროგრამის ფარგლებში, ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს შეუფერხებლად, დისტანციური/ელექტრონული ფორმატით. თუმცა, სერვისის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და დროში მოქნილობის კუთხით, გამოწვევებს ქმნის სწორედ ის გარემოება, რომ პროგრამა მხოლოდ 3 საჯარო სკოლაში ხორციელდება და მასში მოსწავლეების ჩარიცხვა მხოლოდ წელიწადში ორჯერ არის შესაძლებელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენციაში ასევე აღინიშნა, რომ შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მცხოვრები ბავშვების განათლების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2016 წელს გაფორმებული მემორანდუმის

<sup>183</sup> კორესპონდენცია: MES 6 21 0001061686 - 08/10/2021.

<sup>184</sup> კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის №81, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №23, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლებში.

<sup>185</sup> სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №23 საჯარო სკოლაში სწავლობს 6 მოსწავლე, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლაში - 19, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის №81 საჯარო სკოლაში ამჟამად საერთოდ არ სწავლობს პროგრამაში ჩარიცხული ბავშვი.

საფუძველზე, ხელი ეწყობა ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის ზოგადი განათლების მიღებას და პროგრამულ დაფინანსებას, რის შედეგადაც ცენტრში მოთავსებულ არასრულწლოვნებს შესაძლებლობა აქვთ, სპეციფიკურ გარემოში მიიღონ ზოგადი განათლება. 2021 წლის ივლისში ცენტრში განთავსდა 8 არასრულწლოვანი, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ - გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №182 საჯარო სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დისტანციურ ფორმატში მიეწოდებათ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. გაკვეთილების ჩატარების მიზნით სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს სამი პედაგოგი. მიუხედავად ამისა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა წელიწადში მხოლოდ ორჯერ არის შესაძლებელი, ამასთანავე, ბავშვებს სერვისს მხოლოდ 3 საჯარო სკოლა აწვდის, სერვისი არ არის დროში მოქნილი და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი.

კვლევის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ სკოლის მასწავლებლებთან და საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელ პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელ არასრულწლოვნებს განათლების მიღების პროცესში არაერთი დაბრკოლება ხვდებათ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით ართულებს ბავშვების საგაკვეთილო პროცესში აქტიურ მონაწილეობას და აბრკოლებს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად დაუფლებას. მშობლების განცხადებით, არასრულწლოვნებს, ენის კურსში ჩართვის მიუხედავად, უჭირთ საგაკვეთილო პროგრამის გაგება, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო საგნებში.

ზემოაღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბავშვი მის ასაკთან შედარებით დაბალ საფეხურზე ირიცხება. არასრულწლოვნების ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა საჯარო სკოლის თანამშრომელთა განცხადებითაც. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან გამოითქვა მოსაზრება, რომ უმჯობესია, ბავშვები ქართული ენის კურსის გავლის და ენის გარკვეულ დონეზე სწავლის შემდეგ ჩაირიცხონ სკოლაში და ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, რომლის შინაარსიც მათთვის, ასეთ შემთხვევაში, უკვე მარტივად გასაგები იქნება. თუმცა, ამ მხრივ, ასევე საგულისხმოა საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვების სოციალიზაციის ხელშეწყობის აუცილებლობა, რომლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს სწორედ სკოლა წარმოადგენს. ამასთანავე, სკოლაში სიარულისას, თანატოლებთან კომუნიკაციისა და გაკვეთილის მსვლელობისას, ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ბავშვები ბევრად მარტივად სწავლობენ ქართულ ენას. ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლისგან მიღებული ინფორმაციით, ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვნებისთვის არსებობდეს სპეციალურად შემუშავებული სახელმძღვანელოები, რომლებიც მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე.

ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევა გამოიკვეთა სკოლის თანამშრომლებსა და არასრულწლოვნების მშობლებს შორის კომუნიკაციის კუთხითაც. საჯარო სკოლის თანამშრომელთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ხშირად მშობელი არცერთ მათთვის

ცნობილ ენას არ ფლობს და ასეთ შემთხვევებში ძალიან რთულია მათთან კომუნიკაცია. თუმცა ასევე გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მშობლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენას ფლობს, თავად სკოლის მასწავლებლები არ ცდილობენ მასთან რაიმე ფორმით კომუნიკაციას.

საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და დირექციის განმარტებით, სკოლებში არ იკვეთება დისკრიმინაციული მიდგომა, ბავშვებს შორის კონფლიქტი და ბულინგი ეთნიკურ ნიადაგზე. გარდა ამისა, დისკრიმინაციული მიდგომის აღმოსაფხვრელად, ისინი ატარებენ საგანმანათლებლო ღონისძიებებს. თუმცა გასაუბრებისას ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებში გამოიკვეთა რასისტული დამოკიდებულება, ხოლო ერთ-ერთ მასწავლებელს ჰქონდა ისლამოფობიური დამოკიდებულება და წინასწარი განწყობა ბავშვის მიმართ.<sup>186</sup>

საკითხის მოკვლევისას, კერძოდ, ერთ-ერთი სკოლის დირექტორის მოადგილესთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროცესში ბავშვებს არ მიეწოდებათ საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და საგნის სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ, დირექტორის მოადგილის განმარტებით, საჭიროდ არ მიიჩნევს ბავშვებთან, განსაკუთრებით ბიჭებთან, სექსუალური ჯანმრთელობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საუბარს. ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია შემთხვევის მოკვლევის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და მათზე რეაგირების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეისწავლა სკოლაში არსებული მდგომარეობა და სკოლას დაუდგინა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ეროვნული სასწავლო გეგმისა“ და „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი დებულებების დარღვევა. ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად კი, სკოლის მასწავლებელთა გაძლიერების მიზნით, დაიგეგმა არაერთი ღონისძიება, მათ შორის, სკოლის „რეპროდუქციული სისტემის ჯანმრთელობის“ შესახებ მოკლე კურსში ჩასმა, შეხვედრა მარტყოფის №2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან, ეროვნული სასწავლო გეგმის ბიოლოგიის სტანდარტით განსაზღვრულ ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორცაა „რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა“. ასევე, დაიგეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ჯგუფის წარმომადგენლის (ქოუჩის) თანამშრომლობა №2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელთან, მისი მხარდაჭერა და მისთვის გამოცდილების გაზიარება.<sup>187</sup> ამავე ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატს წერილობითი კომუნიკაცია ჰქონდა სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან, საიდანაც მიღებული ინფორმაციით, მანდატურის სამსახური გეგმავს სკოლის პედაგოგებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს დისკრიმინაციის საკითხებზე. ამასთანავე, მანდატურის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში მართავს და სამომავლოდაც გამართავს საინფორმაციო ხასიათის

<sup>186</sup> მშობელი არ საუბრობდა თბილისის №81, თბილისის №23 და მარტყოფის №2 საჯარო სკოლებზე.

<sup>187</sup> მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: MES 6 22 0000387081 - 14.04.2022.

შეხვედრებს მოსწავლეებთან ისეთ თემებზე, როგორცაა - ბულინგი, კიბერბულინგი, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია.<sup>188</sup>

მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში, 2021 წლის 22 ოქტომბერს ჩატარებული მონიტორინგისას დათვალა და დაწესებულების ფიზიკური გარემო. შენობის გვერდით მოწყობილია სპორტული მოედანი. ეზოში განთავსებულია ბავშვების დასვენებისთვის განკუთვნილი ინვენტარიც, რომელიც შედარებით მოძველებულია, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის რწმუნებულებს განემარტათ, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობა გეგმავს ახალი ინვენტარის შეძენას. ცენტრის შენობაში არის საგანმანათლებლო ოთახი, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა. გარდა ამისა, დაწესებულებაში მოწყობილია ბავშვების გართობისთვის განკუთვნილი ოთახი, სადაც ინახება შემეცნებითი ლიტერატურა და სათამაშოები. თუმცა ოთახის რესურსით სარგებლობა მხოლოდ დაწესებულებაში განმანათლებლის მისვლისას არის შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში მცხოვრებ ბავშვებს ინტენსიურად ხვდებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision-ის განმანათლებელი, რომელიც ბავშვებთან სხვადასხვა შემეცნებით აქტივობას ატარებდა. თუმცა, კოვიდ რეგულაციებით გათვალისწინებული შეზღუდვების საფუძველზე, ამ სერვისის მიწოდება არსებითად შეიზღუდა, რაც არასრულწლოვანთა მშობლების განცხადებით, ბავშვებზე უარყოფითად აისახა.

### *სკოლამდელი აღზრდა და განათლება*

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი მცირეწლოვნების სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. მცირეწლოვანთა მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით, მათ დაუბრკოლებლად შეძლეს ბავშვების საბავშვო ბაღში დარეგისტრირება. თუმცა პრობლემურია მარტყოფის ცენტრში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებელი პირების მცირეწლოვანი შვილების ხელმისაწვდომობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე. კერძოდ, საბავშვო ბაღი, სადაც თავშესაფრის მცხოვრები მცირეწლოვნები ირიცხებიან, საცხოვრებლიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. მარტყოფში არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კერძო სამარშრუტო ტაქსებს კი, ბენეფიციართა განცხადებით, გაჩერებაზე საათობით ელოდებიან. მათივე თქმით, ზოგჯერ ტრანსპორტი საერთოდ არ უჩერებთ. ამასთანავე, სამარშრუტო ტაქსებით გადაადგილება ყოველდღიურ ხარჯთან არის დაკავშირებული, რომლის რესურსიც, თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების პაკეტის სიმცირის გათვალისწინებით, არ აქვთ. შესაბამისად, ხშირად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ამინდის გაუარესებისას, როდესაც ფეხით გადაადგილება რთულია, ბავშვები ვერ ერთვებიან სააღმზრდელო პროცესში.

### *კოვიდ რეგულაციების გავლენა განათლების უფლებაზე*

კვლევის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან მიღებული ინფორმაციით, ბავშვები შეუფერხებლად იყვნენ ჩართულები განათლების პროცესში, ასევე

<sup>188</sup> მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: MES 8 21 0001232165 - 16/11/2021.



უზრუნველყოფილი იყო მშობლების ჩართულობა. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი მშობლების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად დააბრკოლა სასწავლო პროცესი. თავად, ენობრივი ბარიერის გამო, არ შეეძლოთ ბავშვებს დახმარებოდნენ, ნაწილი ინტერნეტ წყაროების საშუალებით უთარგმნიდა შვილს მასწავლებლის ნათქვამს, როგორც საგაკვეთილო პროცესზე, ისე ქართული ენის კურსზე, ონლაინ გაკვეთილის მიმდინარეობისას.

გამოიკვეთა საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად საჭირო ტექნიკის არქონის შემთხვევაც. ერთ-ერთი მრავალშვილიანი დედა აღნიშნავდა, რომ ბავშვებს ერთდროულად ეწყებოდათ გაკვეთილები, რაც მცირე საცხოვრებელი სივრცის გათვალისწინებით, დიდ დაბრკოლებას ქმნიდა. მშობლის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას ფორმალურად EMC-ის პროგრამაში თანხმდებიან, რომ ბავშვის დისტანციურ სწავლებაში ჩართვის პასუხისმგებლობას იღებენ, ხშირად ამის შესაძლებლობა რეალურად არ აქვთ, სახლში სივიწროვის, ტექნიკის ან ინტერნეტთან წვდომის პრობლემის გამო. იმ შემთხვევაში, თუ არ დათანხმდებიან დისტანციურ სწავლებას, სწავლის სხვა ალტერნატივა არ აქვთ. არასრულწლოვნები დისტანციურად ერთვებიან ქართული ენის სასწავლო პროგრამაშიც, რაც კიდევ უფრო ხანგრძლივს და დამლელს ხდის დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესს. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ და საბავშვო ბაღების დახურვამ სკოლამდელი ასაკის ბავშვები სააღმზრდელო პროცესს მოწყვიტა. გარდა ამისა, მარტყოფის თავშესაფრის ბენეფიციართა განცხადებით, რადგან ბავშვებს, მათი ასაკის, ასევე, დაწესებულების შიდა რეგულაციების გათვალისწინებით, მცირე დროითაც კი ვერ ტოვებენ უმეტესადაც, ვერ ახერხებენ დასაქმებას, რაც კიდევ უფრო უარყოფითად აისახება მათ ფინანსურ მდგომარეობაზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მიმღებ ცენტრში მცხოვრები მარტოხელა დედებისთვის.

### *10.3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ სერვისებში ჩართვა*

ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და შესაბამის სერვისებზე წვდომის შესახებ ვალდებულებას ადგენს, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობა. მათ შორის, საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვნების წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე.<sup>189</sup>

კვლევის ფარგლებში თავშესაფრის მაძიებელ პირებთან გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვისა, არასრულწლოვნების სამედიცინო სერვისებზე წვდომა არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. მშობლების განცხადებით, ბავშვებს ჩატარებული აქვთ ასაკის შესაბამისი ყველა საჭირო აცრა, თუმცა სამედიცინო მომსახურების მიღებისას, ენობრივი ბარიერის გამო, უჭირთ კომუნიკაცია ექიმებთან, დანიშნულების გაცნობა და მედიკამენტის შექმნაც კი. ამ პროცესში ცენტრის ბენეფიციარებს ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision-ის სპეციალისტი. თუმცა, მშობლების თქმით, ხშირად, განსაკუთრებით, შაბათ-კვირას, რთულია ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

<sup>189</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 56, 58, 61, 75.

დაკავშირება. თავშესაფრის მამიებლებს უჭირთ ბავშვებისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენაც. სახალხო დამცველის რწმუნებულებს ამ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჰქონდათ World Vision-ის წარმომადგენლებთანაც. მათგან მიღებული ინფორმაციით, ბენეფიციარებს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, უნაზღაურდებათ მედიკამენტის ღირებულება, რასაც თავად მშობლებიც ადასტურებენ. მაგრამ ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მედიკამენტის თანხის ასანაზღაურებლად ყოველ ჯერზე უხდებათ ექიმის ახალი დანიშნულების წარდგენა, რაც მათთვის დამატებით დროსთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

მარტყოფის თავშესაფრის მამიებელთა ცენტრში ჩატარებული მონიტორინგისას სახალხო დამცველის რწმუნებულებს ასევე ეცნობათ, რომ ბენეფიციარებს არ მიეწოდებათ გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო ნივთები. პაკეტში, რომელსაც ცენტრში მისვლისას იღებენ, არ შედის პამპრსი და ჩვილისთვის განკუთვნილი საკვები. დაწესებულებაში ხშირად უხდებათ სასწრაფო დახმარების გამოძახება და ცენტრში დაბრუნებისას, როდესაც მცირეწლოვანი ახლავთ, იყენებენ ტაქსის, რაც მათთვის ასევე დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის რწმუნებულებს World Vision-ის წარმომადგენლებისგან ეცნობათ, რომ ბენეფიციარებისთვის განკუთვნილია მანქანა, რომელიც მათ შეძლებისდაგვარად ემსახურება. მათი განმარტებით, ქვიტორის წარმოდგენის შემთხვევაში, ბენეფიციარებს სამედიცინო დაწესებულებიდან ცენტრში დაბრუნებისას ტაქსიში გადახდილი თანხაც უნაზღაურდებათ. მარტყოფის ცენტრის ბენეფიციარები კი ამბობენ, რომ, როგორც წესი, ტაქსით უწევთ მგზავრობა ბავშვებთან ერთად, ყველა ტაქსის მძღოლი არ იძლევა ქვიტარს, რაც დამატებით ართულებს თანხის ანაზღაურებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision მარტყოფის ცენტრის ბენეფიციარებთან და მათ შვილებთან ფსიქოლოგის ჩართულობას უზრუნველყოფს. თუმცა სპეციალისტი დაწესებულებაში ბოლოს რამდენიმე თვის წინ იყო მისული. ფსიქოლოგის ვიზიტებზე განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა კოვიდ რეგულაციების საფუძველზე დაწესებულმა შეზღუდვებმა და თავად ცენტრში კარანტინის არაერთხელ გამოცხადებამ. მარტყოფის ცენტრში მცხოვრები მშობლები მათთან და მათ შვილებთან ფსიქოლოგის განგრძობითი ჩართვის საჭიროებაზე უთითებდნენ. ისინი საუბრობდნენ ტრავმულ გამოცდილებაზე და დადებითად აფასებდნენ ამ დრომდე განხორციელებულ ინტერვენციას.

## 11. რეკომენდაციები

ანგარიშში ასახული გამოწვევების აღმოსაფხვრელად და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შემუშავდა სპეციალური წინადადებები და რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის.

### წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს სხვა სარწმუნო ჰუმანიტარული დახმარების საფუძველი, როგორც ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების წინაპირობა;
- „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის განხილვის მაქსიმალურ ვადად 9 თვე განისაზღვროს;
- გადაიხედოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეოთხე პუნქტი და მიესადაგოს ქენევის 1951 წლის კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციას;
- გადაიხედოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის „ბ“ და „ზ“ პუნქტები;

### რეკომენდაციები

#### საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები თავშესაფრის სისტემის გადატვირთულობის პრობლემის გადასაჭრელად;
- საერთაშორისო დაცვის პროცედურის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირები, ინტენსიურად გადამზადდნენ გასაუმჯობესების ტექნიკასა და თარჯიმანთან თანამშრომლობის საკითხებზე;
- საერთაშორისო დაცვის პროცედურაში მონაწილეობდნენ სათანადოდ გადამზადებული თარჯიმნები;
- დაუბრკოლებლად გაგრძელდეს საერთაშორისო დაცვის პროცედურის ხარისხის შიდა კონტროლი და ზრუნვა მის გასაუმჯობესებლად;
- შევიდეს ცვლილება „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებაში და მან მოიცვას შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები და ასპექტები, მათ შორის, სურდო თარჯიმნის მომსახურება და მისი ორგანიზება;

- აწარმოოს შშმ თავშესაფრის მადიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა სტატისტიკა შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით;
- უზრუნველყოს სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მადიებელთა მიმღები ცენტრის თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირთა საკითხებზე, მათ შორის, დეტალური ინფორმაციის მიწოდება შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა ტიპის მიხედვით, შშმ პირებთან სათანადო კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების გამოსავლენად;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს შესაბამისი ზომები ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის უფასო კონსულტაციების შემოსაღებად;
- განიხილოს მარტყოფის თავშესაფრის მადიებელთა მიმღებ ცენტრში ძიძის კადრის დამატების საკითხი;
- თავშესაფრების მადიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან გაიმართოს საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე;
- თავშესაფრის მადიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს მიეცეთ თარჯიმნით სარგებლობის შესაძლებლობა. მათ შორის, თავშესაფრის გარე მომსახურებისა და სერვისის მიღების საჭიროების შემთხვევაში;
- მარტყოფის თავშესაფრის მადიებელთა ცენტრში მცხოვრები არასრულწლოვნების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზნით, შეაფასოს ტექნიკური და ინტერნეტთან დაკავშირებული საჭიროებები და კომპეტენციის ფარგლებში, ასევე უზრუნველყოს ცენტრში უკვე არსებული ტექნიკური რესურსის საგანმანათლებლო პროცესისთვის გამოყენება;
- მარტყოფის თავშესაფრის მადიებელთა ცენტრში განთავსებისას ჰიგიენური საშუალებებისა და საკვების გადაცემისას, საჭიროებისამებრ, გაითვალისწინონ მცირეწლოვნისთვის საჭირო საკვები და საფენები;
- განახლდეს მარტყოფის თავშესაფრის მადიებელთა ცენტრის ეზოში ბავშვებისთვის განკუთვნილი გასართობი და დასასვენებელი ინვენტარი;
- კომპეტენციის ფარგლებში, გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება ცენტრში მცხოვრებ ბავშვებთან ფსიქოლოგის აქტიურად ჩასართავად.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:**

- შემუშავდეს სამართლებრივი აქტის პროექტი იმიგრანტთა ინტეგრაციის ერთიანი მიდგომების შესახებ;
- დროულად გადაწყდეს და დაინერგოს ქართული ენის შემსწავლელი კურსები სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში;

- პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდოთ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებების შესახებ;
- მიიღოს საჭირო ზომები თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ პირთათვის ფსიქიატრიული და ფსიქოლოგის კონსულტაციის უფასოდ მისაწოდებლად და ამ პირთა ჯგუფისთვის იმ სამედიცინო მომსახურებების დასაფინანსებლად, რომლებსაც არ მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა;
- სამედიცინო პერსონალი გადამზადდეს თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უზრუნველყოს განათლების ყველა ეტაპზე ჩართულ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ და სსსმ მოსწავლეთა სტატისტიკის წარმოება;
- გაიზარდოს ქართული ენის შემსწავლელ ერთწლიან კურსში ჩარიცხვის ვადები და საჯარო სკოლებთან შეთანხმების საფუძველზე, ხელმისაწვდომი გახდეს ყველა რეგიონისთვის;
- უზრუნველყოს ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე ქუთაისსა და ბათუმში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წვდომა;
- უზრუნველყოს ქართული ენის კურსებზე ჩარიცხვის პროცედურის მოქნილობა. მაგალითად, შესაძლებელი გახდეს ბენეფიციართა კვარტალურად ჩარიცხვა;
- გამოვლინდეს ქართული ენის სწავლების მეთოდების ხარვეზები და ეს მეთოდები მოერგოს ბენეფიციართა საჭიროებებს.

### სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სახელმწიფო სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ან სარგებლობის მაძიებელ იმ შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება, რომლებიც არიან თავშესაფრის მაძიებლები ან აქვთ საერთაშორისო დაცვის სტატუსი, მათ შორის, ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის დროს;
- უზრუნველყოს, კანონის შესაბამისად, მზრუნველის დაუყოვნებელი დანიშვნა და სოციალურ მუშაკთა გადამზადება თავშესაფრის საკითხებზე;
- უზრუნველყოს სოციალური მუშაკებისთვის თარჯიმნის დაუბრკოლებელი მომსახურება;
- შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან დაიწყოს აქტიური მეშაობა თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი შშმ სტატუსის მქონე პირების შესაბამისი სოციალური პაკეტით უზრუნველსაყოფად.

### სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- შეიქმნას ბენეფიციარების მონაცემთა ერთიანი ბაზა, სადაც პირადი მონაცემების გარდა, მითითებული იქნება მათი შესაძლებლობები და საჭიროებები;
- ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელოს სოციალური ქსელის/ვებგვერდის საშუალებით;
- კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება.

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას:

- შეფასდეს მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში მცხოვრები მცირეწლოვნების სააღმზრდელო პროცესზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი და გატარდეს სათანადო ღონისძიებები ბავშვების სააღმზრდელო პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად.